

345




Ո Յ Ե Յ Ա Խ Ո 1902

უფრნალ „ჯეჯილისა“

83:

I	შობის ხე, ლექსი — შ. მდგიმელისა	3
II	პირელი შობის ხე, ლეგენდა (რუსულიდან) — ბეს. ვაშა- ძესი	5
III	უმზეოთ დამჭერარი ვარდი — ეკ გაბაშვილისა	7
IV	ჯარის კაცი და კატი, თარგმანი — ტასლისი	24
V	დედა-ზარდლი, ლექსი — დ. თომაშვილისა	28
VI	ბეღის მოჩინარი კალატოზი, ურანცულიდან — კლდიასი .	30
VII	ოთხი საუკუნე — ა. უუმისთაველისა	33
VIII	მკლიას თავ-გადასავალი, გადმოკეთებული — ა. ნათაძესაგან	37
IX	მცნარე და მისი ცხოვრება — ი. გომართლისა	49
X	ქურდი — თ აზიქაშვილისა	56
XI	პატარა ამბავა (ივ. მაჩაბლის სახსოვრათ) ლექსი — ავაჭისა	61
XII	შალვას ახალ წლის საჩუქარი — გ. წერეტულელისა . . .	64
XIII	წერილმანი: გამოცანები, არითმეტიკული ამოცანა, შა- რადა, საჩუქრის მისაღები კრთხვა, რებუსი და განცხადე- ბა	67



ეროვნული
ბიბლიოთეკი

ქართველი

ს 1 9 0 1 7 3 0 ლ მ 6 1 6 1 3 0 8 0 1 6 0

კურნალი

იზარდე, მწვანე ჰეგილო,
დაშურდი, გახდი ყანაო!..

ი. ღ.

№ I

ჭილიბარი მეცამეთა



ტფ 0 ლ 0 6 0

სიმბა ტ. გ. როტიანიანის, № 41 | თიპ. თ. მ. როტიანია, გო. პრ. № 8
1902



Дозволено цензурою. Тифлисъ, 20-го Декабря 1901 г.





შობის ხე.

3ობის წინა დღეს ბალვები
ერთათ შემოკრძენ ჯგუფათა;
შეაგულ სახლში ნაძვის ხეს
გარშემოევლენ ტურფათა.

დაუწეს მორთვა, მოკაზა,
სიცილ-კისკისით, მღერითა;
ტოტები მოულამახეს
ფერად სანთლების ღერითა.

სოგმა დაჭირდ ფრიალა,
სოგმაც ნავი და ქალათა;
სოგმა მოავლო გარშემო
ქაღალდის ჯაჭვი რკალათა.





რიგი თავს უმკობს მაფითა,
რიგნი ძირს დაუსუსტუსობენ;
ვინც ვერა წვდება ნამვის ხეს
მათ უქნ დაკუსკუსობენ.

რა სიცოცხლეა, რა ძალა!
რა მხიარული ხარხარი!
ნამვის სის საკოცნელათა
უკელა მათგანი შეათ არი.

მორთეს და ახლა შორს გადგენ
მწერივათ ჰაწია გედები;
ტყბილათ დაიწევს ღუღუნი,
როგორც გენასოთ ტრედები.

თვითონაც უნდა მოირთონ,
ერთმანეთს ჩაცმას შველიან,
შემოდამებს ცელუები
გულის ფანცქალით ელიან.

რომ გააჩაღონ სანთლები
ნეძვის სე ააპრიალონ,
შემოუარონ ფერსულით
სიმღერა ჩააწერიალონ.

ვ. მლეიმელი.

პირველი საშობაო ხე.

(ლეგენდა)



ობა ღამეს, როდესაც ერმა იქნო
ბაგაძი იწვა, მოგვებმა მიართვეს მას
ძვირფასი ძღვენი, ხოლო მწემსებ-
მა-კი მიუძღვნეს თავის საგალობელი,
დიდება და თავვანისცემა.

იმ დროს მოხუცებული იოსები
გამოქვაბულის შესავალში იდგა და
დიდათ სწუხდა, რადგანაც არაფერი
ჰქონდა, რომ მასაც რამე მიერთმია
დათაებრივი ერმისათვის. იოსები მეტათ
დარიბი და უბრალო დურგალი იქო;
ის გამოვიდა გამოქვაბულიდან, გა-

ირჭო თავის განიერ სარტყელში ნაჯახი და გავიდა ბეთ-
ლემის ჭიძეარში. დამის წევდიაღში არაფერი არ იხედებოდა
ჭიძისა და სილის მეტი; იოსებმა უცემ მიიხედა. გვერდზე



და დაინახა განმარტოებულათ ერთათ ერთი სე; შემდეგის
უცრისთ ცაზე ამოანათა მთვარებ და თავის სხივები მოჭყი-
ნა იმ სის შეუნიერ მწვანე ტოტებს. იოსები შეჩერდა და
გაჰვირვებით შეცქორდა. ის იუთ სე ძობისა, მუდამ მწვა-
ნე, ნორჩი და დაუშენობელი.

იოსებმა მოჭრა სე, მოიგდო შეარჩე, მიბრუნდა ბეთ-
ლემის გამოქვაბულში და დაასო თვით გამოქვაბულის შე-
სავალში. ამ ღრის ზეციდან ჩამოვარდა ბრწყინვალე ვარსკვ-
ლავი ცეცხლის ნაპერწკლის მსგავსათ და გაჩერდა სის წვე-
როზე, მას მოჭვა მეორე ვარსკვლავი, მესამე, მეოთხე და
ამ რიგათ მთელი სის ტოტები მოიფინა ბრწყინვალე, მო-
კამაშე ვარსკვლავებით, რომელნიც ფრიად ამშვენებდენ სეს;
ეს იუთ პირველი შობის სე, სე საუკუნო მმვიდობისა, სა-
სოებისა და სიუვარულისა. და მას აქეთ შეძოვიდა ხმარება-
ში შობის სე შობა-ახალ-წელიწადს.

ბეს ვაშაძე.

(რუსულიდან)



უაზეოთ დამჭკნარი ვარდი.



არიამობისთვის ნახევარი იყო. სოფე-
ლი მადლიანი ზაფხულის მშენი-
ერებით კაშკაშობდა. მისი აჩე-მარე
თვალ-გადუწვედენელის უენახებით შე-
ბურეილი, ბრწყინვალე მზის სხივე-
ბით გაჩირალდნებული მობიბინე ზღვას
წააგავდა. აუარებელი ხილი, ნაადრე-
ვათ დამკუნახებული ყურძენი, ბლო-
მათ მოსული ჭირნახული მხიარულე-
ბით აესებდა სულს და გულს მად-
ლიანელებისას.

ნიკოლოზ იმედაშეილის უჯახიც ბელნიერათ
ჰერძნობდა თავს ამ ღვთის მოწყალეების დროს.
მისი ოთხი შეილი, ორი ქალი და ორი ვაჟი, ეი-
ვილახშეილით და ყმაწვეილურის კიეინით აესებდნენ
მის ფართო სადგურს და კარებ წინ კეკლუკათ
გაშლილ, ნიკოლოზის ხელით მოელილ და გა-
უაძრაზებულ ხილ ის ბალს. ქეთევან იმედაშეილისა ბალკონის კუთხე-
ში ტახტზე მოკეცილი იჯდა და თავის ხელით დართულ და გამო-



ხარშულ, აბლაბუდასაეთ წმინდა აბრეშუმის ძაღის არშიასა ჰქონება, თან სიამოენებით თვალ-ყურს ადევნებდა თავის ქმარ-შეილს, რომელიც კარის ბაღში ლელვის კრეფაში იყენენ გართულნი და თან მწყობრათ, სასიამოენოთ რაღაც ხალხურ სიმღერას მღეროდნენ.

— ბატონო, აი რაღაც ქალალდი გახლავთ თქვენთან ქალაქი-დან მოწერილი, უცებ შესწყეიტა ყმაწეილების ღიღინი მაღლიანელ-ში გზირმა გიგოლამ და ნიკოლოზს გადასცა დაბეჭდილი ქალალდი.

იმან საჩქაროთ გახია კონვერტი, სწრაფათ თვალი გადაავლო წერილს და მხიარულათ შეპყირია ბალკონზე მჯდომ ქეთევანს: „ქა-ლო, ქალო! მომილოცნია, ჩევნი პატარა ნანუცა სახელმწიფოთ მიუ-ღიათ და გვწერენ პირები ენკენისთვის ბავშვი წარეაღვინოთ ინს-ტიტუტში.

— ნანუცა სახელმწიფოთ მიუღიათ! მაღლობა ღმერთსა! — სიხა-რულით წამოიძახა ქეთევანმა, საქმე უკუაგდო და საჩქაროთ ჩაიგანა ქმართან, რომ ეს სასიხარულო ამბავი თავის თვალით წაეკითხა და გამეღნიერებული ნანუცა გადაეკოცნა.

— მაღლობა ღმერთსა, მაღლობა! — ერთი კიდევ შეპყირია ქე-თევანმა, როდესაც წითელ ხაზ-გასმული სიტყვები გადაათვალიერა: „პირველ ენკენისთვეს წარმოადგინეთ ინსტიტუტში თქეენი შეი-ლიო“ და ნანუცას გადაეხეია: „იცი, გოგოჯან, რა ღეთის წყალო-ბა გვწვია?! ახლა შენი სწავლა საზრუნველი აღარ გვექნება და თვით მოწყალე ხელმწიფე კისრულობს შენ განათლებას.

ნანუცა-კი გაქვავებული იდგა, მის პირისახეს მომაკვდავის ფე-რი დაედო.

— აცა, აცა, ქალო, შეაყენა ქმარმა ქეთევანის აღტაცებული ალექსი, — სიჩქარით იმას-კი ყური აღარ ვუგდეთ თუ სადაურ ინსტი-ტუტში მიუღიათ ჩევნი გოგო — „პეტერბურლის ინსტიტუტშიო!“ — აი დახე, შენ რაგორ-და ვერ გაარჩიო.

— პეტერბურლისაში!! — ყველამ ერთბაშათ შეპყიელეს და დი-დიან პატარიანათ სიშიარულე მწუხარებათ შეეცვალათ. ნანუცა-კი

სასოწარკვეთილებით მუხლებში ჩაიკეცა და იქვე ქარვასავით ლელ-
ვით საესე კალათებ-შუა ძირს დაეშვა.

— პეტერბურლში? — მწუხარებით ამოიკვენესა კიდევ ქეთევანმა
და მძიმეთ ჩაფიქრდა. წამის წინათ ბელიერებით და მხიარულებით
საესე ოჯახი შევმა დუმილმა მოიცეა. შაქრო და ლაღო, ნანუცას
უფროსი ძმები, უფრო ნაკლებათ გრძნობდენ ამ ვარამს, რაღან
ოჯახს დიდი ხანია მოშორდნენ და თბილისის გიმნაზიაში სწავლობ-
დნენ, თებრო-კი, რომელიც მხოლოთ ამ წლის შემოდგომაზე გან-
შორდა დედ-მამის უბეს და თელავის ზეედენიაში სწავლობდა, უფ-
რო დალონდა და ნანუცას თანაგრძნობით გვერდით მოუჯდა და ჩას-
ტუტუნებდა: „არა, არა, ჩემო ნანო, ნუ გეშინია, დედა არ გავიშ-
ვებს. ჯერ მე თელავში რო წამიყვანეს, კინალამ თვალები დაითხა-
რა ტირილით და აბა პეტერბურლში რომ გაგეზავნოს, რა დაემართება?

ნანუცა ცხრა წლისა იყო, თავის ხნიერობასთან შესადარებლათ
პატარა ტანისა, მავრამ მარდი, მალხაზი, ტებილათ მოლაპარაკე.
გრძელი წაბლისფერი ხუჭუჭი თმა მხარ-ბეჭვე ჰქონდა გადაყრილი
და წაბლისფერი ქუქუნა თვალები სიცელქით და ჭკუით საესე.

დედ-მამას ეს „ნაბოლარა“ ბაეშეი ძრიელ შემკველელებული
ჰყავდათ, მეტათ გააზიზებული, ყოველ წამს ხელის-ხელ საგოგმანებე-
ლათ, გასართობათ მინეული და ამიტომ უფრო ძნელათ მოსაშო-
რებელი იყო მშობლებისთვის. ოჯახი დიდ საფიქრებელში ჩავარდა.
თუმცა ნიკოლოზმა დიდი ხანია ითხოვა მთავარ-მართებელთან თა-
ვისი პატარა ნანუცის სახელმწიფოთ აღზრდა, მავრამ იმას კი თავის
დღეში ვერ წარმოიდგნდა, რომ ასე შორს იმოუყოფნენ თავს ამის
საყვარელ გოვონას. რასაკეირველია ქეთევანიც მოუთმენლათ მოე-
ლოდა ხელმწიფის წყალობას, რაღან იმედაშეილის ოჯახს ძრიელ
უჭირდა ოთხ-ოთხი შეილის რიგიანათ აღზრდა და დაბინავება, მავ-
რამ რუსეთში გასტუმრება-კი თავის დღეში ფიქრათაც არ მოხველია.

ნანუცაც დიდი ხნიდანევ იყო მომზადებული იმ აზრზე, რომ
ის უთუოთ სახელმწიფოთ უნდა აღზრდილიყო, მავრამ ისიც იცოდა,



რომ ის პანსიონი, სადაც ეს უნდა დასახლებულიყო, მოთხესშემუშავი
იყო თბილისში, საქართველოს დედა ქალაქში, სადაც წელიწადში
ჩამდენჯერმე ჩადიოდა მამა და ათასში ერთხელ დედაც; ისიც კარ-
გათ იცოდა, რომ შაქრო და ლადო, ამის საყეარელი ძები, იქ ბედ-
ნიერათ და მხიარულათ ჰერძნობდნენ თავს და თავის პაწია დას ხში
ჩათ ნახავდნენ, გაართობდნენ. ახლა-კი, როგორც წარმოიდგენდა რომ
ეს იმ ციკ რუსეთში უნდა წაეიდეს, რომელზედაც ამას წინათ მამა
უცნაურს ამზებს უამბაზდა თავის რუსეთის ჯარში ცხოვრებიდან,
მთლათ ცახცახებდა. „ცხრა თვე სულ თოვლი სდევს, მომატებუ-
ლათ ჯანღით და ბურუსით ჩამობნელებული დღეებია, ყინვა აუ-
ტანელი, ზოგჯერ ცაში მფრინავ ფრინველს ჰყინავს“... აგონდებოდა
ნამბობი ნანუცას.

მეორე დღეს მთელმა მეზობლობამ შეიტყო, რომ იმედიანთ
ნანუცას „კენჭი ერგო“ და მოსალოცათ შეგროედენ, დიდი და პა-
ტარა ნათესაობა: მამიდები, დეიდები, ძალუები, ბიძაშეილები და ბე-
ბერი ოთხმოცი წლის ბებია თინათინიც კი მობრძანდა ურჩით გაღ-
მა უბნ-დან შეიღი-შეიღის გზის დასალოცათ.

ქეთევანი დიდ უარზე იდგა: —არა, არასოდეს! მე ვერ მოვიშო-
რებ ჩემ ნანუცას, ჩემ თვალის ჩინს, ჩემ მოჭიკვაკე იადონს! — თვალ-
ურემლანი ამბობდა დედა და თან მხურვალეთ გულში იკრავდა და-
ღონებულ და დაძმარებულ ნანუცას.

— ეინ ამბობს, დიდი წუკეშია და წყალობა სახელმწიფოთ შეი-
ლის აღზდა, — უმატებდა ცოლის მწარე სიტყვებს ნიკოლოზი, — მაგრამ
ვადაგვარებაზე-კი ხელს ვერ მოვაწერ. რვა — ცხრა წელიწადი რუ-
სეთში ბავში სულ დაივიწყებს სამშობლო ენას, თავის ქვეყნის მი-
წა წყალს, „თვით დედ-მამის ჯიგარიც გაუცივდება.

— რეებს ამბობ შეიღო, რეებს! — შეჰყვირა თინათინმა. — ღეთის
წყალობა კარს მოკდგომია და უარს ამბობ? რა გადაგვარება, რა სი-

შორე, რა ენის და ქვეყნის დავიწყება! ოლონდ ისწავლოს და თუ ღმერთს უნდა უკელავერს გადააჩენს. სიშორე ხომ ახლანდელი დროში, როდესაც მთელი ქვეყანა რკინის გზებით არის მოდებული, სადღა არის! აფხაზიანთ ლევანი წელიწალში სამჯერ მორბის რუსეთიდან, გიორგი გივიშვილი ყოველ ზაფხულს აქ არა...

— მერე რა სწავლა იმ დალოცვილ ინსუიტუტში,—გააწყვეტინა ძალუა ნინომ თავის დედამთილს, — უორტოპანი, ფრანგული, ნემეცური, ინგლისური ენები, რუსული ლიტერატურა, ისტორია! ერთი სიტუაცით დიდი განათლება, სიმღიდრე და ფუფუნება ხომ რაღა გროხათ! ხელმწიფე და დედოფალი წელიწალში სამჯერ ათვალიერებენ თავის თვალით მოწავეებს. „დეორეციაც“ კი მიჰყავთ დიდ დღესსწაულებში ყმაწვილება. ვაა რო აეთ გავხდი და უდროეოთ წამომიყენეს იქიდან, თორემ ჩემ ბეჭს ძალი არ დაჰყეფდა, იქაური განათლებით აქ მაღლიანში-კი არ გადმოიყეარებოდი!

— მაღლიანი გაღმოკარგულათ მიგაჩნია, ჩემი რძალო? — საყვედურით უთხრა ნიკოლოზმა თავის რძალს. — აბა ერთი გადიხედე ამ ბალკონიზან: სხვაგან ქეყანაზე სად დაინახავ ამის უკეთესს დასანახავს? შეხე ალაზნის ველს მეფურათ, დიდებულათ შემკულს, მის თვალ-ვადუშედენელ ჭალა-ველებს, მის ძეირფასის ვაზით ვადაკვედილ ლურჯათ მობიბინე ვენახებს, მზის ათასფერ სხივებზე გაბრწყინვალებულ თავებ დათოვლილ მთებს და მათ ჯერ მწევანე კალთებზე შეფერილს ძელ ნაშთთა სიმჩავლეს! განა მარტო ეს დასანახავი, ეს სიტურეფ ბუნებისა არ კმარა რომ კაცმა თავისი თავი სამოთხეში იყრიძოს? თავის გამჩენს მაღლობა და აღტაცება მიუძღვნას! ვაი დედასა, რომ სწავლა გაგვაძნელდა — გაგვიძეირდა, თორემ შვილს ვინ მოჰველებს თავის სამშობლო ქვეყანას, თავის ლეთის მოწყალებით საეს მხარეს!

— იჯ, კარგი, თუ ღმერთი გწამს! — გააწყვეტინა თინათინმა შეიღლს ალაზნის ველის სიმშეენიერით აღტაცებული სიტყვა. — უკელა ეგ აქ შეუცვლელათ დახვდება ნანოს და შექდეგ ცივის რუსეთისა უფრო



ცხოვლათ და უფრო ძეირფასათ ეჩენება. ბექს ნულარ ულფაზერგარენა
კობ, დაფაცურდი, მოემზადე და შენ თითონ წაიყვანე ბინაზე ეს
შენი „ნაბოლარა“. ხომ ხედავ სამი შეილის აღზრდაც გაგიჭირდა, უფა-
ლოთ ვეღარ ჩები! დეე რაც ბედი ხედა იმ ბედს დაემყაროს. ღმერ.
თი ახსენე და რაც იქნება ის იყოს! „სჯობს უსწავლელათ ყოფნას,
სწავლა ნაჭირნახულევი“, ახლა ასე უნდა შევცვალოთ უკვდავი რუს-
თაველის ნაბძანები.

— მართალს ბძანებს ბებია, მართალს! — თითქმის მოელი ნათე-
საობა დაემოწმა თინათინს და ქეთევანი და ნიკოლოზიც დაიყოლის
ნანუცას რუსეთში გაგზავნაზე.

მალე გავიდა ის ერთი კვირა, რაც იმედაშეილის ოჯახმა შორს
სამგზავროთ მომზადებას მოანდომა. დადგა განშორების დღეც. კა-
რებზე დიდი ხანია სამ-ცხენ შებმული ტარანტუასი სდგას და ელის,
მგზავრების გამოსელას, მაგრამ ქეთევანი ისე შეწუხებული, დაერდო-
მილი და ფერმიხდილია, რომ ვერაენ უბედას აჩქარებას. ხუმრიბა
ხომ არ არის, ოთხი შეილი ერთათ უნდა გაისტუმროს და დედის
გული სიკვდილის მგზაესს მწუხარებას შეუპყრია. პატარა ნანუცა
უსიტყოთ, უცრემლოთ, გაფითრებული კალთაში უზის, ის მაგრა
ჩასჭიდებია დედის ტკბილ გულ-მკერდს და ხელს არ უშევებს, და-
ნარჩენი შეილები თავს ადგანან დედას. გარს ისევ ნათესაობა ახვე-
ვია, მაგრამ ხმას ვერაენ იღებს, ყველა გრძნობს დედის საშინელ
მდგომარეობას და არაენ არღვევს მდუმარებას. ნიკოლოზი აშევ-
თებული შედის და გადის, გრძნობს რომ დღე ღამდება, „წასვლა
სჯობს წარჩავალისა“, მაგრამ ესეც ვერ ჰბედას დედას შეილი ხე-
ლიდან გამოგლუჯოს.

— დღე დაღამდა, როდის-ლა უნდა ჩახვიდეთ თქვენ ბინაზე?!

ისევ ბებია თინათინმა დაარღვია სიჩუმე და თან ნანუცას ხე-
ლი მოჰკიდა, დედის კალთიდან ააყენა და გულზე პატარა ოქ-

როს ჯაჭვით ღეთის-მშობლის ხატი გადაჰკიდა, დალოცა უნდა გადაჰკიდა ვალეთ გულში ჩაიკრა: — წალი, შეილო, წალი, ნუ გეშინია, ეგ ხატი იქნება შენი მფარეველი და წინამძღვრლი. ეცალე არ დაჰკარგო და ყოველთვის სასოებით ილოცვიდე მაგაზე. ეგ მამა-პაპეულთ ომში სატარებელი ხატია და როგორც იმათ იფარავდა მტერთა ტყვიისაგან, ისე შენ დაგიფარავს უცხო ქვეყანაში ყოველი გაჭირებისაგან.

ბებიას შემდეგ ნანუცა გადაჰკოცნეს უცხლა იქ მყოფმა ნათესავებმა. ჯერი ქეთევანზე მიდგა. დედამ ახლა უფრო მძლავრათ ჩაიკრა თავის პატარა გულში და თითქო გაშეებასაც აღარ უპირებდა, მაგრამ ნიკოლოვოზმა ველარ მოითმინა, გულის ტყივილით, მაგრამ ვაჟყაცურის გამბედაობით გამოგლიჯა ნანუცა დედის ხელიდან და ციმციმ აუგანილი ტარანტასში ჩაარბენინა. ლადო და შაქრო მოუთმენლათ ელოდნენ დედის ჩემოსელას და რამწამს ისინი ეტლ-ში ჩასხდნენ, შეუტიეს ცხენებს. ტარანტასი დაიძრა და მას თან გაჰყვა დარჩენილთა ლოცვა-კურთხევა და დედის გულიდან ამომსკდარი უნუგეშო ტირილ-ვაგლახი.

ნიკოლოვოზმა გზათ თელავში შეატარა თებრო, საჩქაროთ მიიყვანა „ზაევედენიაში“, ერთ თავის ნაცნობთან ისამხრა, ცხენებს პატარა ქერი მოაჭამა და გაეშურა თბილისისკენ, სადაც უნდა დაებინავებინა შაქრო და ლადო და მერე რუსეთის გზას გასდგომოდა პატარა ნანუცათი.

ენენისთვის პირეველი რიცხვი იყო, დილის რეა საათი, როდესაც იმედაშეილი თავის ქალით მიეიდა ფუსტის სადგურზე. მშვენიერი დილა იყო, ნამდვილი ზაფხულის დილა, სიცხე იმდენათ საგრძნობელი, რომ მგზავრები უწამოსასხმოთ ჩასხდენ ეკიპაჟში და ერთ მანდილოსანს მარაოც-კი ეჭირა ხელში საგრილებლათ. გარშემო ბუნება ხაესი მწვანით იყო დამშეენებული და ქალაქის ბალები მოსეირნე ხალხით სავსე.



ფოსტალიონმა ჩაპბერა თაეის ოროტოტოს და ექვსუმცხვეჭიშვილებული ბულმა კალიასკამ სხვა-და-სხვა ჯურის ხალხით საფსემ, მოპქროლა მცხეთისაკენ. ნანუცა აღარ ტიროლა, ის დიდი ცნობის-მოყვარეობით აცეცებდა თვალებს აქეთ-იქით, თუმცა იმის პირისახეს სევდის გამომზატველობა არ მოშორებია.

ნანუცას ცნობის-მოყვარეობა და გაკვირვება ერთი ათათ იქცა, როდესაც ფასანაურის სადგურში ღამის გათვეის მეორე დღეს, ზაფ-სულის მავიერათ სრული ზამთრის სურათი წარმოუდგა იმის თვალს. გარშემო არე-მარე ნისლით და ბურუსით იყო მოცული, გაყინულ პაერში თოვლის ნაფლეთები ტრიალებდენ და გზის ორსავე მხარეს კარგა დიდი თოვლი იყო დაგროვილი, რომელსაც აუარებელი მუშა გზიდან ხევტდა და ამითი უადვილებდა ცხენებს მძიმე ეკიაფის ზიდეას იმ აღმართზე, რომელიც ფასანაურის სადგურიდან იწყება კავკასიის უმაღლეს ქედზე.

სიცივე თან-და-თან საგრძნობელი შეიქნა, ნიკოლოზმა ბარგი-დან თაეისი ნაბადი ამოილო და იმის კალთებ ქვეშ ამოსეა ამ უცნაურათ გაჩენილ სიცივისკან გაკვირვებული, გალურჯებული გოგონა და თან ეუბნებოდა:

— ის გიკვირს, შეილო ეს თოვლი და სიცივე, ამა ახლა მოებ-ში აეიდეთ, რას დაინახავ იქიდან; იქ მხოლოთ თოვლის და ზამთრის სამფლობელოა. იქ თოვლი თაეის დღეში არ დნება და ახლა ენკვისთებში ახალი კიდევ, დღეში სამი-ოთხი არშინი ემატება.

მართლაც თან-და-თან თოვლი იკავებდა მთელ არე-მარეს: არც ხე, არც სახლი, არც არაეითარი ადამიანის სხვა სადგომი არსად შობიანდა, გარშემო მხოლოთ თეთრი, ხელ-შეუხებელი, სპეტაკი თოვლით გადაბურული გორები მოჩანდა;; გზა ორათ გაჭრილ თოვლის კედლებ შეუ მიდიოდა და თაეისი სითეთრით თვალებს უჭრიალებდა მგზავრებს, აუარებელ მუშებს, რომელნიც შეუფერხებლივ თოვლისგან გზას ასუფთავებდენ. თეთრათ შელესილი სადგურები ძლიერ იჩუევოდენ ამ თოვლის თეთრ სამფლობელოში და მხოლოთ ხში-



რო ბოლი სადგურის ბუხრებიდან ამონადენი უჩვენებდა შეზარდა
შათ დანიშნულებას. აქ უელგან ხალხა ფატიჟუცით შერბოდე-გა-
მორბოდა, საჩქაროთ სცვლიდენ დაოფლიანებულ ცხენებს და ოდ-
ნავ ცეცხლზე გათბობის შემდეგ, მგზავრები აგრძელებდნენ თავის
გზას.

ყაზიბეგის სადგურიდან გზის ერთფერობა შეიცვალა მდინარე
თერგის ხმაურობით. თუმცა მდინარის ნაპირები უკვე გაყინული იყო,
მაგრამ შესა გული-კი საშინლათ ღრიალებდა, შფოთაედა და მედ-
გრათ ეხლებოდა თავის პიტალო კლდის საწოლის გვერდებს. მდინა-
რე ხან-და-ხან განზე იშლებოდა, ხან-და-ხან-კი, როდესაც ორ უშ-
ველებელ ერთი ერთმანეთთან მიახლოებულ მთის შესა მოექცეოდა,
ის ისე ვიწროვდებოდა, ყუჩდებოდა, მდოვრდებოდა, რომ გეგონე-
ბოდათ ეს-ეს არის დაჭივიანდა ეს „დაჭრილი ლომიერი მძეინვარე
თერგიო“, მაგრამ შემდეგ წამში კლდეები თითქო განზე ჩამოუდევ-
ბოდენ ხოლმე ამ შეუყენებელ ძალას და ის ისევ მძლავრათ ექანე-
ბოდა ძირს და თავის გამარჯვებას საშინელის კიფინით აცხადებდა.
გზა სულ თერგის ნაპირას მიდიოდა და მასთან ერთათ ხან ღრმა
უფსკრულში ჩაექანებოდა და ხან ცოტა ხნის განშორებით აღმართს
შეუდევებოდა, შემდეგ ისევ იმის მღერი ტალღებს უახლოვდებო-
და, იმის ღრიალ-გრიალით ცოცხლდებოდა. უზარ-მაზარი კლდეე-
ბი, კაცის ხელით შეკრილი, გზას ვეშაპივით გადმოჰყურებდნენ და
მაზე გაწოლილი თოვლის ზვავები მგზავრებს შიშის ზარს სცემდ-
ნენ და წამდაუწუმ თავის გადმოხეთქით განადგურებას უპირებდნენ.
ნანუცას გული თრითოდა შიშით და თან ამ დიადის საახაობით
აღტაცებაში მოდიოდა. შიში და აღტაცება განუყრელათ იბრძოდენ
პატარა გოგონას გულში. კაცებამდის თეალი არ მოუხუჭნია ნანუ-
ცას, ის გაფაცაცებით იყურებოდა აქეთ-იქითკენ და მხოლოთ ათა-
ში ერთხელ გამოჰყითხავდა მამას სხვა-და-სხვა ალაგების სახელს,
ძეელთა ნაშთთა ციცაბოებზე ნაგებ ციხე-გალაგანთა მნიშვნელობას.
ნიკოლოზი, როგორც კარგათ მცოდნე ამ ალაგების ძეელი და ახა-



ლი ისტორიისა, დაწერილებით უამბობდა ყველას თავის შემთხვევაში კავკავიში ეკიპაჟიდან პირ-და-პირ რეინის გზის ვაგონში გადასხ-, დნენ მამა-შეილნი და აქ-კი დაღალულობამ დამორჩილა პატარა და მძიმე ძილმა შეაჩერა იმისი გაღვიძებული ცნობის-მოყვარეობა.

კავკავიდან სამი დღე-დამე შეუჩერებლივ მიაქანებდა რეინის გზის ორთქლ-მაგალი ჩვენ მგზავრებს. აკვანივით ერთგვარმა რევვამ ვაგონებისამ პატარა ნანუცა რაღაც გამოუჩევეველ სევდას მისცა, ის მთელი საათობით ჩუმათ იჯდა და ხელზე თავდაყრდომილი გა-ორთქლილ ფანჯარას მისცეროდა. ნიკოლოზი ცდილობდა, გაერ-თო თავის პატარა გოგო, მიეჭცა იმისი ყუჩააღლება რუსეთის გან-სხვავებულ მდებარეობაზე, მის შენობებზე, ხალხის სხვა-და სხვა გვა-რობაზე, მის ასე უდროოთ დაზამთრებულ ბუნებაზე, მაგრამ ამათ,— ერთგეროვანი ბუნება რუსეთის თვალ-გადუწვდენელ ველებსა, ახ-ლა თითქმის ყოველგან თეორი თოვლით გადაპენტილი, ძალიან ცოტას იძლევოდა თვალის ვასართობ საზრდოს.

მეოთხე დღეს დილით ადრე მატარებელი მიუხალოვდა პეტერ-ბურის რეინის გზის სადგურს, ხალხი აირიე-დაირია, საერთო მოძ-რაობა შეიქნა, უველა ფაცი-ფუცით ალაკებდა ვაგონის თაროები-დან თავის ბარგს, იფუთნებოდა შუბებში, ფეხებზე თბილ კალო-შებს იცავდა, ხელებზე ტყავის ხელთათმანებს. ნიკოლოზმაც თბი-ლათ გაახვია თავის ნანუცა ქეთევენის გამოტანებულ შალში, ბარ-გი მოიმარჯვა და დროც იყო. მატარებელი გაჩერდა, ბარგის გამ-ტანი მოსამსახურენი ხელიდან ჰელეჯდენ ბარგს მგზავრებს გასატა-ნათ. სადგურის ფართზ დერეფანი ხალხით იყო გატენილი, ათასო-ბით ქალი და კაცი ირეოდენ ერთმანეთში, ხალხის გუგუნი, მეგა-ზეთების ძახილი, სასტუმროების პატრონის პატიჟი ყურებს უჭედავ-და კაცს და აფერხებდა გარეთ გასვლას. რის ვაი-ვაგლახით გა-ატანა ნიკოლოზმა ამ ხალხის მოძრავ ტალღებს და გავიდა უშვე

ლებელ მოედანზე, სადაც აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი ეტლი ელოდა მგზავრებს.

ეკნენისთვის ხუთი იყო, ნიკოლოზის ეშინოდა ხომ არ დამიგეიანდა ვადაზე ქალის მიყვანაო და პირდაპირ პანსიონში გასწია. ინსტიტუტი სადგურიდან ძრიელ შორს აღმოჩნდა. მამა-შეილთ თითქმის მთელი ქალაქის გავლა დასჭირდათ. კარეტის ფანჯრიდან ნანუცა განცვიფრებული შესცემროდა ამ თვალ-გადუწვედენელ დედა ქალაქს რუსეთისას და ჰკეირობდა იმის განიერის ქუჩებით, ხუთ-ექვს სართულიანის სახლებით. უშეელებელი ეკლესიები ცამდის აწედენილი გუმბათებით ხომ აოცეპლენენ პატარა მგზავრს. აუარებელი ხალხი, ეტლები, ჯარის-კაცნი, პოლიციელნი, ბუზებივით ირეოდნენ ქუჩებში. მაღაზიის დიდრონი შეუშებიდან მოჩანდა ძეირთასი სავაჭრო, სანოვაგე, შეკერილი ტანისამოსი, შლიაპები. ალაგ-ალაგ ქუჩებსა და ქუჩებ შუა გადაჭიმულიყვნენ ლამაზათ შემოლობილი ბალები, სადაც მწეანე ფოთლებით შემოსილის ხეების მაგივრათ, ამართულიყვნენ შავათ შემოსილი ნაძეები.

ოქრომეტი საათი იყო, როდესაც იმედაანთ ეტლი გაჩერდა ერთ უზარმარ შენობის წინ, რომლის მეოთხე სართულზე გაკრულ შავ ფიცარზე დიდი ასოებით ეწერა: „Никалаевскій Институтъ“ ეს სახლი განცალკევებული იდგა სხვა შენობებიდან და ირგვლივ რკინის მოაჯირით იყო შემორტყმული. ხუთ-სართულიანი შენობა, აუარებელი დიურონი ფანჯრებით, რომელთაც რკინის ბალები ჰქონდათ აკრული და ნაცრის-ფერათ იყო შელებილი, ცეკვა და მიუკარებოსთ ეჩვენა ნანუცას. არც კარებში მდვომმა მდიდრულათ ჩატუდა შეეცარმა“ მოახდინა იმაზე დამამშეიდებელი შთაბეჭდილება; იმის ბუჭმენტებით მოელებული ფეხებამდის გრძელი ტანსაცმელი, გვერდზე ზაქეთებული წითელი ლენტი და სელში დიდი ოქროს ბუზტიანი ყავარჯენი, ნანუცას თვალში რაღაც ზღაპრულ დევს ემგზავსებოდა და როდესაც იმან საგზაოთ ჩატუდა მამა-შეილთ ზიზლით თვალი.



გადავლო, მაშინ ხომ კანკალმა აიტანა. ცოვათ და მიუკარებლათ ეწევნა ნანუცას სტუმრებს მისალები დარბაზიც თავისი გათეთრებული კედლებით და კედლებით რიგზე ჩამწერილებული სკამებით, ცოვათ და მიუკარებლათ ეწევნა იქ მყოფი მორიგე ქალიც, რომელიც თავის ნაცრის-ფერი კაბით და უწოდრაო პირისახით საშინლათ წააგავდა ამ სახლის გარეთადს და შიგნითადს მიუტიღაობას.

— ეინ ბრძანდებით? — ღიღა ცერემონიით თავის დაკერის შემდეგ ჰკითხა იმან ნიკოლოვოზს, — საიდან მობრძანდით და რისთვის?

შემდეგ იმის დაწერილებით გამოძიებისა, თუ რისთვის გასჯილა და რათ მოუყვანია თავის მშევნიერი პატარა, ის შეუდგა კუნჭულში მდგომ სტოლზე დალაგებულ წიგნების ფურცელის და მალე მიაგნო ნანუცას სახელმწიფოთ მიღების საბუთებს. იმან საჩარიოთ აასრულა ყოველი საჭირო ქალალდების შემოწმება, მოწაფის გვარი და სახელის ჩაწერა და მერე რაღაც ნაძალადევის ღიმილით ხელი გაუშვირა ნანუცას: — აბა, საყვარელო ბაღანავ, წავიდეთ. მე შენ ვიჩევნებ ამხანაგებს, შენ მომავალ აღმზრდელს წარვიდგენ.

ნანუცა გვერდში ამავჭროდა მამას, იმისა ხელი ღრივ ხელით დაებლუჯა და ცეცხლში ჩასაგდებ მსხერპლივით შიშით ცახ-ცახებდა.

— აბა, შეილო, წაჟყე. — ცოტა არ იყოს ხმის კანკალით უთხრა ნიკოლოვოზმა ნანუცას და ხელი მოაშორა იმის მთრთოლევარე ხელებს.

— მამა, მამა!.. — საზარელი ხმით შეჟყვირა ნანომ და ერთი კაცები ჩაეკონა მამის გულ-მკერდს.

კმარა, კმარა, ნაძალადევი სისასტიკით შეჟყვირა ნიკოლოვოზმა და თითქმის გულშემოყრილი ბავშვი გადასცა მორიგე ქალს, რომელმაც დაუყოვნებლივ გააქანა ის სამოსწავლო ოთახებისაკენ.

ხუთას ექვსასი ქალი დასეირნობდა სასწავლებლის ფართო შუშაბანდან დერეფნებში. სამი თევის თავისუფლების შემდეგ, სახლიდან დაბრუნებული შევირდები შეუწყვეტლივი სიცილ ხარხარით უამბობდნენ ერთმანეთს თავის თავ-გადასვალს. მხოლოთ ახლათ

მობარებულები დალონებულ-დაძმარებულები აბუზულიყვნენ კურტესილი გამოსახულებას. ში და იქიდან ბუსავით გამოსცემი ამ კრაფოფილთა მოძრაობას. ნანუცაც იმათ მიეკედლა.

ნიკოლოვზი-კი ისევ იმ ალაგას იდგა, საიდანაც ქალი გაატანა იმ უცნაურს, გაყინულ დედაკაცს და თითქო რაღასაც მოელოდა.

— თქვენ შეგიძლიანთ წაბრძან დეთ,— მოესმა ამ ღროს დაბრუნებული მოჩიგე ქალის ციე ხმა.— თქვენი ქალი დად ბედნიერებაში ჩავარდა და იმისი ნულარა გეფიქრებათ. რა.

— მე ხეალ კიდევ მოვალ სანახავათ. ხომ ნებას მომცემენ ერთორ დღეს ვინახულო ჩემი შეილი?

— მე არ გირჩევთ,— მიუვო ქალმა.— რაც მალე დაივიწყებს თავის წარსულს, მით უფრო უკეთ შეეჩერეთ თავის აწმყოს.

— მაშ არ მირჩევთ მოსელას?

— არა.— კიდევ ციეათ მიუვო ქალმა და ნიკოლოვზი ცივ წყალგადასხმულივით გულ-ჩამწყდარი გამობრუნდა შინისკენ.

შობის წინა დღეს იმედაანთ ოჯახი ჩვეულებრივ ბრწყინვალე შობის სამზადისში იყო. საღლესასწაულოთ ამოსული ლადო და შაქრო გიმნაზიის „მუნდირებს“ ისუფთავებდნენ ხეალინდელ წირვაზე წასასელელათ. თებროს დედა ხეალისთვის ჩასაცმელ ალისფერ კაბას აზომებდა.

— დედა, ნეტა თუ ნანუცა ახლა ჩას აკეთებს? — მოკრძალებით შეეკითხა თებრო დედას — აქ ჩო ყოფილიყო, ხომ იმასაც შეუკრავდი ამისთანა კაბას?

— დიახაც ჩო შევუკერავდი, ენაცვალოს დედა თავის ნაბოლარას, მაგრამ სად არის! — ამოოხერით მიუვო ქეთევანმა თებროს და ორი მსხეილი ცრემლი გადმოუგორდა თეალებიდან. — ჩემი გული მუდამ ფაშს კვნესის, ჩემი გონება განუყრელათ იმასთან არის, ჩემ თავს თა-



ეს დღეში არ ვაპიტებ იმას, რომ სხვებს დაუუჯერე უდაზეოდება
ცხრა მთას იქით გადაელუპე, თქვენში გამოვწყვიტე, მაგრამ...

— დიახაც რო შესცდით! — დარბასლათ დაუმატა თხუთმეტი
წლის ლადომ. — რა არის სწავლა, თუ-კი ბავშობიდანვე კაცს გული
მოუკვდება მარტოობით, ან გულმკვდარი კაცი რაღას ისწავლის
უცხოეთში?

— ჰა და! — ჩაერია ლაპარაში შაქროც, — მე რო იმის იმედი არა
მქონდეს, რომ წელიწადში ჩამდენჯერმე მამიყვანთ სახლში, წიგნსაც
აღარ აეიღებდი ხელში. რათა ღირს მარტო ქალაქიდან სახლში წა-
მოსელის სამზადისი? თითქო ახლათ იბადები, თითქო სახლში კი
არა ზეცაში აპირებ ასელას და ახლა ნანუცა-კი ყველა ამ სიხა-
რულს არის მოკლებული!

— ქეთევან, — ჰეტერბურლიდან წერილია შენთან, — მეორე ოთა-
ხიდან მხიარულათ შემოვეიდა ნიკოლოზი. ნეტა თუ როგორ ქიფ-
ზეა ამ სადღესასწაულოთ ჩეენი ნანუცაი?

— წერილი! ღმერთო ჩემო, მშეიღობა და სიხარული მიანიჭე
ჩემ გოგონას! — გულის კანკალით თქვა ქეთევანმა და აცანკანებული
ხელებით გაგლიჯა წერილი. დიდი და პატარა გარს შემოეხვია დე-
დას და მოუთმენლათ მოელოდა ნანუცას ამბავს.

„სევდა მამულისათვის“ სტანჯაეს თქვენ ბავშვეს, სწერდა ინსტიტუ-
ტის მმართველი ქალი ქეთევანს. „თქვენი ნახვა სწრაფათ, დაუყოვ-
ნებლივ საჭიროა. ექიმს იმედი აქვს გამაბრუნებისა, თუ ბავშვი თა-
ვის დედას დაინახავს და თავის სამშობლოში დაბრუნების იმედს გა-
იღვიძებს“.

— ღეთის-მშობელო, შენ შეინახე ჩემი ნანუცა! სასოდებით ხე-
ლი გააპურო ქეთევანმა და შემდეგ რეტიანივით დატრიალდა: — ჩქა-
რა, ჩქარა, ტარანტისი შეაბით, ჩქარა, ახლავე, ამ წამში უნდა წაეი-
დე. არ დამიგეიანდეს, თორემ ჩემ გოგოს ცოცხალს ვეღარ მი-
ვუსწრებ.

— ქეთევან, დაშოშმინდი, მოიფიქრე რამ, ჩვენც ნუ დაგვივიწ-

ყებ, ან რითი მიხეალ? აუარებელი ფული დამეხარჯა რუსეთში წა-
სელაშე. ახლა საიდგან-ღა გავისტუმრო. ან მარტო შენი გასტუმრე-
ბა, როგორ შეძლება! გაზეთებში სწერენ წრევანდელი ზამთარი რუ-
სეთში საშინელია. აქ რო გაზაფხულის ამინდი ცდგას, იქაც ხომ
ისე არა გვონია? - მწუხარებით სთქეა ნიკოლოვაზმა.

— უშენოთ ჩენ რაღა გვეშველება ამ დღესასწაულებში... — გა-
უბედავათ წაიტუტუნეს ყმაწვილებმა.

— ნანუცა ავათ არის, დედა, უთუოთ წადი, მოუარე და მო-
იყვანე. — მდუღარებით ვადაეხეია თებრო დედას და თავის ლმობიერე-
ბით უფრო ვამჩნევა ქეთევანი.

— დიახ, დიახ, უთუოთ უნდა წავიდე, უთუოთ! ჩქარა, ნიკო-
ჯან, ჩქარა დაფაცურდი. ისესხე, გაჰყიდე რაც რამ გვაძადია და შეილს
ნუ დამაკარგვინებ. შეილებთან შენ იყავ. მე გზას გვიგნებ. დაკარ-
გული შეილის საძებნელათ წასულ დედას ლმერთი უწინამძლერებს.

შუა ღამეა. პეტერბურლის „ნიკოლოვაზის ინსტიტუტის“ შენობა
სიბნელით არის მოცული. პანსიონი დათხოვნილია სადღესასწაუ-
ლოთ და ზოგიერთი დარჩენილი მოწაფენი თეით ინსტიტუტის მმა-
რთეელმა წაიყვანა დღეს თვატრში. ჩამი.ჩუმი არსად ისმის. მხო-
ლოთ ინსტიტუტის სააგათმყოფოდან მაჩანს მყრთალი შუქი. მშევ-
ნიერია თავასის სიფართოვით და სიფაქიზით ეს სწეულ ბავშვების
მოსათავსებელი სუფთა თეთრი კედლები, სპეტაკი ლოგინი, სარკე-
საეით გაბრწყინვალებული იატაკი, კუნკულში ხელოვნურათ გაკეთე-
ბული სახატეში მოთავსებული წმ. ნიკოლოვაზის ხატის წინ პირის-
ფერი კანდლის შუქით განათებული, ეს ემგზავსება ერთსა და იმავე
დროს ეკლესიასაც და საიღუმლოობით მოცულს სასაფლაოსაც.

ორი თუ სამი ბავშვი უნძრევლათ წევს თავთავის საწოლზე.
თეთრებითვე მოსილი მომელელი დედაკაცი ავათმყოფთა შორი-ახლო
სკამზე ზის და სტოლზე დაყრდომილი თავი ჩაუქინდრია, სძინავს.



ავათმყოფი ნანუცაც აქა წევს, მაგრავ-კი არ სძინმეს. იმში დაბულებული რონი თვალები, ახლა საშინელის სიგამხდრისაგან უფრო გადიდრო-ნებული, დაკეირვებით დასკერიან იმ პატარა დაოქრულ ხატს, რო-მელიც საქართველოდან წამოსვლის დროს ბებიამ გულზე ჩამოჰკიდა და რომელიც ამ ოთხი თვის განშავლობაში ამას ერთ წაშსაც არ მოუშორებია. ბევრს ეცადა ექიმი, ზედამხედველი ქალი, რომ „ეს ვევბერთელა სურათი, რომელიც ავათმყოფს საშინლათ ავიწროებ-და“ მოეხსნათ როგორმე, მაგრამ ვერასვზით ვერ გამოჰკლიჯეს ბავშვს ის საუნჯე, რომელიც ერთათ ერთი შემაერთებელი კავშირი იყო იმისი შშობლებთან და დაშორებულ სამშობლოსთან.

მაშინ როდესაც ნანუცას მთელი არსება რაღაც უცნაურის სწერულობით იყო შეპყრობილი, როდესაც ის დაუძლეურებული, სა-სომიხდილი, მთელ დღეებით უსმელ-უჭმელი, ენა ჩავარდნილი და თვალებ გაჭუეტილი იწვა თავის სარეცელზე და არაეითარ იმედს გამობრუნებისას აღარ იძლეოდა, მხოლოთ ეს პატარა ხატი-და იპყრობდა იმის ყურადღებას. ბავშვი მთელი საათობით დაჰყურებდა იმაზე გამოხატულ ღვთისმშობლის სათნაებით სავსე სახეს, ხან-და-ხან სასოებით ტუჩებზედაც მიიკრავდა იმ წდ. ნაწილს და მხოლოთ მაშინ ამისი უაზროთ გაშტერებული თვალები ცრემლებით აივებო-დნენ და მათში სიცოცხლის ნაპერშეკალი აინთებოდა ხოლმე.

აი ახლაც ნანუცა თავის ძეირთას საუნჯეს დაჰყურებს და მის პატარა ხელისოდენა სურათზე თითქო ცოცხლათ ხედავს თავის შზით გაბრწყინვალებულ ქვეყანას, თავის სანატრელ ოჯახს, ტკბილ დედ-მამას, ძეირთას და-ძმას. დიდი ხანია ნანუცა უკრძნობლათ წევს სა-რეცელზე და თითქო ყურადღებას აღარ აქცევს აღამიანთა ცხოვრე-ბის სელის, მაგრამ დღეს-კი ნათლათ წარმოიდგინა ამის გონებამ, რომ ახალ-წლის წინა ღამეა და ამის სახლობა, როგორც ყველა ქართველი ოჯახი, ახალ-წლის სამზადისშია. აი ნინიკა მებალემ დი-დი თაბახით შემოიტანა ქარვასაფით გამჭვირვალი თაფლის პურები, რომელიც ეს-ეს არის სკებიდან ამოილო. აი ნინუა გამდელმაც მო-

ართვა ქალბატონს საესე ცხრილი საგოზინაყე ნიგოზი, ნუში, სჩამი
ჩი, ჩირი, ჩურჩხელა... დედას ოთახში ბუხარში ცეცხლი მხიარუ-
ლათ გუწვეუბებს, ზედ შემდგარი ზედადგარი ელის თაფლით საესე
ტაფას. პატარა თებრო დედასა შველის, კალთაზე ხელსახოც-აფარე-
ბული, დარბაისლათ ტახტზე ზის და ჯიბის დანით ნუშას სჭრის.
მარტო ლადო და შაქრო ცულლუტობენ, დაჭრილ ნუშ-ნიგოზს იტა-
ცყბენ და დედას აჯავრებენ. ნიკალოვოზიც ზურგზე ხელებ-გაწყობი-
ლი აქვე ბოლოთასა სცემს და ათას ფიქრებში გართული, ხან-და-ხან
ტკბილათ ულიმის ვითომ და შეილებზე გაჯავრებულ ქეთევანს.

„ოხ, ღვთის-მშობელო, ჩემო მშევნიერო ღვთის-მშობელო,
თავის გულში ფიქრობს ნანუცა და მაგრათ იკრაეს გულში ხატა:
ერთხელ კიდევ მამასწარი, ერთხელ, რომ ჩემ სახლში ახალ-წელი-
წადს მივევებო, ერთხელ!.. ბებიამ მითხრა: ეს ხატი ყოველ განსაც-
დელს გადაგარენსო. თუ მართალია, შემიბრალე, წამიუვანე, გადა-
მაფრინე... ვიყინები... ჩვენ ცეცხლზე გამათბე...“

— ნანუცა სად არის? ჩემი წანუცა? — უცებ მოესმა აეათმყოფს
ჩუმი, მაგრამ მოუთმენელი ჩურჩული.

— ღვთის-მშობელო!... ნუ თუ ნატერა ამისრულე... სიგივებ.
დის მიხეულის გაოცებით დაიკიცა ნანუცამ და ფეხზე წამოხტა...
დასუსტებული დატორუმანდა და მოულოდნელი ბედნიერებით
გულშემოყრილი, მშობლის გაშლილ ხელებში ჩავარდა.

ეჭ. განაშევლის.



ჯარის-კაცი და კატა.



ამოცი წლის წინეთ, ერთხელ დიდი ოძის დროს ერთ ახალგაზიდა ჯარის-კაცს უნდა მიეტოვებონა თავისი სოფელი. ემარტილი გამოესალმა შმობლებს, ნათესავებს და საჩქაროთ გაუდება გზას, რომ მისწერდა თავის კარს, რომელსაც უპას ჩამორჩა. კარგა მანმილი გაიარა და უციათ დაინახა, რომ უკან მისდევდა თავისი საუკარელი პატარა კატა. ჯარის-კაცს ჯერ უნდოდა მისი გაგდება, მაგრამ კატა ისე გრუტუნებდა და ისე ძლევრისით ფეხებში ებლანდებოდა, რომ ემარტილმა-გაც-მა კერ მოახერხა მისი თავიდან მოშორება. ბოლოს მეტი გზა არ იყო, მასშირობით ჩანთაზე დაისვა, რადგან ებრალებოდა გაგდება ამისთანა პატარა მოსიუვარულე პირუტულისა.

ემარტილი კაცი მოქმიდა თავის კარს. გავიდა დრო; კატუნია ბოლოლის დროსაც-კი თავს არ ანებებდა თავის პატრონს. დღე ჩანთაზე უჯდა, დამე ერთი მუშტის-

ტოლათ მოიკუნტებოდა ქმაწვილი ქაცის საწოლზე უკარგებოდა
არავის აწუხებდა. ღღითი-ღღე ეს პატარა ქატა იწრდებოდა.



კოთ ღღეს უნდა მომხდარიეთ ღღი შეტაქება და ბრძო-
ლა. ქმაწვილმა-ქაცმა ვერ გამოიძება თავისი საუკარელი



მეგობარი, რომ თან წაუვანა, და თავის ავათმუოფ უმნიშვილი ჩააბარა. მაგრამ გაიარა თუ არა ცოტათდენი მანძილი, კატა უქან გამოუდგა და საბრალო კნავილით თხოვდა ხელში აუვანას. ჯარის-კაცმა მოჰყიდა ხელი თუ არა, ის მაშინვე ახტა თავის ჩვეულებრივ ადგილას და იქ მოიკლათა.

გაცხარებული ბრძოლა იუო, კვამლისაგან არაფერი არ იხედებოდა; ტუკი და უუმბარები ბზუილით თავზე გადარბოდენ. ახალგაზდა უმაწვილი რამდენჯერმე დაჭრეს, ორჯელ კიდეც მიწაზე დაეცა, მაგრამ კატა თავისი ბასრი ბრჭყალებით მაგრათ ჩაჭორენოდა ჩანთას და არ იძროდა. ბოლოს უმაწვილი-კაცი საშინლათ დაჭრილი და გასისხლიანებული მიწაზე დაუცა.

მერე რციო კატამ რა ჭენა?

იმის მაგიერ რომ ჩამომხტარიუო მირს და გაუცეულიერ,— იმან დაჭრილ პატრონს იარა უპოვა, საიდანაც სისხლი ჩქევდა, და ლოკვით ისე მოუწმინდა იარა, რომ სისხლი შეაუენა. პატარა ხანს უქან მოემველა ჯარის ექიმიც და საბრალო, გონება დაკარგული, დროებით გამართულ საავათმუოფი წაიუვანეს.

ჯარის-კაცმა აახილა თვალები თუ არა, პირველათვე ის იკითხა, ხომ არ მოვავდებით?

— არა, არ მოვავდები, უმაწვილო, მხოლოთ შენი კატის წეალობით. ეგ რომ მაგისთანა გონიერი არა უოფი-

ლიერ და შენი ჭრილობა ლოგვით არ მოეწინდა, უკრაინული ბევრს დაჭრებული და ეს მოვისწრავებდა სიცოცხლეს.

ამ უცნაურ ამბავს შეძეგ კატა აღარ მოაშორეს თავის ჩატრონს, სანამ ის სახვათულობრივი იწვა. უმარტვილი-კაცი თავის იჯრიდან საჭმლის საუკეთესო ნაჭრებს აძლევდა თავის მხსნელს.

ამ ჯარის-კაცის სიკვდილისაგან გაღარჩენა მალე მოელ-მა ჯარმა შეიტყო და იმ პატარა ცხოველის გამჭრიახობა და ერთგულობა უკელამ ღირსეულათ დაბფასა. უმარტვილი-კაცის მეგობრები და ამხანაგები ალერსით ეთამაშებოდენ კა-ტას და განაზებული და განებივრებული ჰეავდათ...

ტასო.

(თარგმანი)





၁၁၈-၁၁၇၉၈၈။



ეცის მუშა, ქვეყნის მრათი,
ტკბილ – სუნელით დატეიროული
თავის სკისკენ მიიტრანავდა
და უძღვრდა მაღლით გული.
პფიქრობდა, სკას არ მოგაკლებ

სათაფლ. სანთლო მასალასო,
მეც წელილს ჩავდებ სალაროში,
არ დაეზოგავ ჩემს ძალასო.
კიურ ძალით შეექმნი სანთლოს,
ცის და ქვეყნის შემაერთო,
რომ აქ კაცს ბნელს უნათებდეს,
აღიდებდეს მაღლა ღმერთსო.
მოფრინავდა აღტაცებით,
ნეტარების ძალას გრძნობდა,
ვერ მალავდა სულის თრთოლეას
და ბზუილით ყველას ძლენობდა,
მაგრამ, აბა, რა ოცნდა,
რომ უკებდენ მახე-ქსელსა
და ამ წმინდა შჩომაშიაც

ଶେଷୁଶ୍ଳୋଦା ହିନ୍ଦମ୍ଭେ ଶ୍ରେଣୀରେ
ଗୁଲିର୍ଭୟେଲ ମୁଖ୍ୟମିଶ୍ର ଫିନ ଦ୍ୱାରାଶ୍ରେଦ୍ଧ
ଗୋଟିଏ କ୍ଷେତ୍ରରେ ଦାବ୍ୟବ୍ୟୁତି,
ଦେଲିକ୍ଷେତ୍ରରେ ଶ୍ରେଣୀରେ
ଦାବ୍ୟବ୍ୟୁତି, ଅବ୍ୟୁତି.—
ମାତ୍ରା ମନ୍ତ୍ରରେ... ଅବ୍ୟୁତି...
ଅବ୍ୟୁତିରେ ପ୍ରାଣୀ-ମାତ୍ରା...
ମାତ୍ରା ମାତ୍ରାରେ ଅବ୍ୟୁତି
ଜୀବିତ ମଧ୍ୟରେ ଅବ୍ୟୁତି-ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ!..
ମାତ୍ରା ନାଥ, ଗାୟତ୍ରୀରେ:
,,ଶ୍ରେଣୀ ମନ୍ତ୍ରରେ ସାମାଜିକ ବ୍ୟୋମ!
ଅବ୍ୟୁତି, ଅବ୍ୟୁତି! ଅବ୍ୟୁତିକାରୀ,
ଏବା—କୁକୁରିର ସାମାଜିକ ବ୍ୟୋମ!!..
ଯେ କୋଠ ତାଙ୍କୁରେ ବିଶ୍ଵାସିତ
ମିଶ୍ରଦାତ୍ମକ ମିଶ୍ରଦାତ୍ମକ ଯୁଗରେ,
ଅନ୍ତରେ ଶ୍ରେଣୀ ମଧ୍ୟରେ ଓ ମଧ୍ୟରେ
ମେପ ଗାନ୍ଧୀଶ୍ଵର ସାମାଜିକ ବ୍ୟୋମ!..
ଅମାରିତରେ ଗୁଲି, ପ୍ରାଣି
ଓ ମାନାମତରେ ଶ୍ରେଣୀରେ,
ସାନାମ ମନ୍ତ୍ରରେ ଜୀବିତରେ
ହିନ୍ଦିନେ ଦାରୀ, —ଗୁରୁ-ଅଶ୍ଵତ୍ରା!
ଫିନ ଫିନିରେ ଗାମିଦାରି,
ମାତ୍ରାରେ ଗାତ୍ରରେ ଏମ ଫରନେ ପ୍ରକାଶ
ଓ ଅବ୍ୟୁତି-ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ ଏହି ଶ୍ରେଣୀ
ମୁଖୀ ପାନ୍ଦିତରରେ ମେତ୍ରପିତ୍ରରେ.

ড. ତରମାଶ୍ରୀପାତ୍ର

გედის მოჩივარი კალატოზი.

(იაპონური ზღაპარი).



რთი კალატოზი იქო. ბევრსა მუშაობდა,
 გერაფერს იგებდა და ეთველთვის ბედს
 უჩიოდა. ნეტა ერთი ისე გავმდიდრდე,
 მხარ-თეძოზე წამოვჭრე და აბრეშუმში
 ვიჯდეთ. მოგეთუ ან გელოზძა უსმინა და
 უთხრა: ნატურა აგისრულდესო!

კალატოზი გამდიდრდა და უშვეუნე-
 ბით ცხოვრება დაიწუო ისე, როგორც
 მის გულს უნდოდა. ერთხელ მეფემ ჩა-
 მოიარა მის კარსე. დიდებულები ამაღათ ახლდენ რახტია-
 ნის ცხენებით, ხოლო მონები უწინდილებდენ დიდი სამ-
 ხეურით, რომელიც ოქროსფრათ ბრტყელებდა.

კალატოზძა თქვა, ჩემთვის სიმდიდრე რის მაქნისა,
 თუ გარეთ ოქროს სამხეურით კერ გამოგაბლ? რად არ ვარ
 მეტეთ? ან გელოზძა უთხრა, განდეთ.

და მეუე გახდა. დიდებულები ამაღათ ახლდენ რაც ის-
ნის ცხენებით, ხოლო მონები უწრდილებდენ დიდ საძ-
უერით, რომელიც ოქროსფრათ ბრჭყვიალებდა.

შე აცხენებდა დედამიწას და თვალთა სჭრიდა ადა-
მიანს. ახალშა ბატონშა დაიძახა: კარგი მეუე არა ვარ, სიკ-
ხე ისე მაწუხებს, როგორც ერთ უბრალო სიკვდილიშვილს.
ბარებ მზეთ ვიქცეო!

ანგელოზმა ჰქითსა, მოიხედე; გული შეგიჯერდა, თუ
არა?

ის იუო და მზეთ იქცა; მაღლა და დაბლა, მარჯნივ
და მარცხნივ სხივებს ისვრიდა, დედამიწას ბალასს უხმობ-
და და ადამიანს პირისახეს უწვავდა.

შე ის და დედამიწას შეა ღრუბელი ჩასაფრდა, შეის
სხივები უკან ჩამოაუენა და დედამიწაზე აღარ ჩამოუშვა.

შე მდიდარი: ეს მეტის მეტია, როგორ თუ ღრუბელ-
მა ჩემს ძლიერებას წინააღმდეგობა შებედა? ღრუბლათ ვიქ-
ცე, მირჩევნიაო.

მამინვე ღრუბლათ იქცა და თავ-მოწონებით ჩასაფრდა
შე ის და დედამიწას შეა. შემდეგ კოკი-პირულათ იწვიმა, მინდვ-
რები წალევა და მდინარები აადიდა.

მარტო ერთი კლდე არ შეუადა წეალ-დიდობის მაღას.

ღრუბელმა თქვა: როგორ თუ კლდემ წესი უნდა და-
მიდოთს? მის მაგიერ მე უნდა ვიქნეო.

და კლდეთ იქცა. მირში ერთი კაცი დაინასა დარცმა:

କିମ୍ବାଲି, ଉର୍ବତି ଓ ବ୍ୟେକ୍ଷଣି ମେରାଙ୍ଗଲ୍ଲେଖି, କ୍ଷାତ୍ରି
ଶ୍ରୀକ୍ଷର.

କଲାପ ଦାନିକିରାଃ ଏ ଅମ୍ଭାବିନା, ନ୍ଯ ତୁ କିମ୍ବାଲ କାମିଦିନ
କାମିଦିନ ଜନି କାମିଦିନିରୀ ଓ ଦାନିକିରାମିନିରୀ. କାମିଦିନ ଜନି
କାମିଦିନ.

ଏ ଧ୍ୟାନିକିରା ଜନିକିରା: ଏହିକି ନେବା ମେନିକି.

ଏହିକି ଦାନିକି କାମିଦିନିରୀ କାମିଦିନ କାମିଦିନିରୀ, କାମିଦିନ
କାମିଦିନ... ମାତ୍ରାମ ଦେଇ କି ଏହାର ଜୀବିତରେ.

କଲାପିନା.

(ଭୂରାଙ୍ଗଭୂଲିଲାନ ଗାନ୍ଧିଲ୍ଲେଖିଲାନ)





ოთხი საუკუნე

(ოვიდიუსი)



ვეყანა როცა გაჩნდა, პირველათ კაცთა
შორის თქმოს საუკუნე დამყარდა. ხალ-
ხი ამ დროს ნეტარებით ცხოვრობდა.
არ არსებობდა კანონი, ცხოვრება ძალ-
დაუტანებლათ მიმდინარეობდა. თვითოვე-
ული ადამიანი პატიოსან და სამართლიან
გზას ადგა. ხალხმა ამ დროს არ იცოდა,
რა იყო სასჯელის შიში, არ საჭიროებ-
და იგი ამ დროს მსაჯულს, ცხოვრებ-
და უზრუნველყოფილათ, გარეშე ყო-
ველგარ ფათერაკისა.

დაბურულ და მიუგალ ტყის გულში ამაყათ გადმოიყერებოდა
მაღალ-წვეროვანი ფიჭვის ხე, ადამიანის ხელს ჯერ კადევ არ მო-
უსპია მისთეის სიცოცხლე, მისი ლამაზი და ახოვანი ტანი ჯერ კი-
დევ არ დაუსეელებია თეალ-უწედენელ ზღვისა და ოკეანეს ზეირ-



თებს, ს-გრძე-სიგანრთ არ მიმოუვლია მას ზღვის სიერცე, უწყების მიმდევა
დევ არ სტუმრებია იგი ზღვისა მახლობლათ მდებარე ქვეყნებს. ხალ-
ხი არსათ გასტილებია საბშობლო ზღვის ნაპირებს. ქალაქები და
სოფლები არ შემოუზღუდავთ თხრილებით და სხვა სიმავრეებით.
ადამიანმა არ იცოდა, რაა სპილენძის საყირი, რაა სპილენძის ხმა-
ლი და ჩაქანი. მშეიგათ, უდარდელათ და ერთმანეთში კარგის
განწყობილებით ცხოვრობდა ხალხი, არ საჭიროებდა იგი ამ დროს
მცელს, დარაჯს, არ საჭიროებდა მტრისაგან დასაცავ მხედრობას.
შიწა უხვნელ-უთესველათ იძლეოდა უზვ და ბარაქიან მოსავალს.
ხალხი სრულიად კმაყოფილი მიწის უხევი საჩუქრით, ჰქონდა
მხოლოთ მთებში სურნელოვან ხილს, თამელას, მარწყეს, მაყვალს,
შეინდს და აგრეთვე რკოს, რომელიც უხევათ სცეიოდა იუპიტერის
მაღალ და ფართო ფოთლებიან ხეს. ქვეყნათ მუდამ სამური გაზაფ-
ხული იღვა. ნელი ნიავი ნაზათ არხევდა ხის ტოტებს და ყვაეილე-
ბის ნაზ ფოთლებს. რძის მდინარეები და ღელეები სამურათ ჩუქ-
ჩუქებდენ. ოქროს-ფერი თაფლი უხევათ და განუწყვეტლივ ჩამო-
ლენთავდა მუხის ქვედა ტანს და მის აკოეან ტოტებს.

სწორეთ იმ დროს, როცა ქვეყნიერებას განავებდა კრონოსის
შემდეგ იუპიტერი, ხალხთა შორის დამყარდა კერცსლ-ს საუკუნე. ეს
ხანა კაცობიობის ცხოვრებაში ითელებოდა ოქროს საუკუნოზე უფ-
რო მდარეთ, ხოლო სპილენძისაზე უკეთესათ. გაზაფხული ძველებუ-
რათ მთელი წლის განმავლობაში არა ჰქიაოდა. ქვეყნიერების გამ-
გემ და მართეველმა იუპიტერმა ზამთარი, ზაფხული და შემოდგომა
გამოაცალკევა გაზაფხულიდან, ამიარიათ წელიწადი დაჭერ ოთხ
სხვა და-სხვა დროთ. ზოგჯერ სიცხე-პაპანაქება მძეინვარებდა ქვეყ-
ნათ, ზოგჯერ-კი გულის შესახარავი ჩრდილოეთის ქარი დედამიწის
ზედა-კანს ძალზე აციცებდა და ცივი ყინვის სამოსელით ერთიანათ
ჰერაკედა ხის ტოტებს და სალ-კლდეებს. ხალხმა ახლა კი იგრძნო,
რომ ძელებურათ, ცის ქვეშ, ცხოვრება შეუძლებლათ გახდდა, და
თავ-შესაფარის ძებნის თავდარიგს შეუდგა. სწორეთ ამ დროს ადა-

მიანმა შეიგნო გამოქვაბული კლდეების და სახლების მნიშვნელობა.


ხალხი თუ დღემდის უშრომლათ იქებებოდა, მიწა თუ დღემდის უხენელ-უთესეველათ იძლეოდა ბარაქიან მოსავალს, ახლა-კი საჭირო შეიქმნა მიწის მოხვნა და შემუშავება, ახლა იგრძნნო სამუშაო ხარმა თავისი აუტანელი ტეირთი მძიმე ულლის ქვეშ.

ეერცხლის საუკუნე შეიცვალა სპალენძის საუკუნით. ეს დრო კაცობრიობის ცხოვრებაში უფრო სასტიკ ხანთ ჩაითვლება. ხალხმა ამ დროს იცოდა საზარელი იარაღის ხმარება, ხოლო რამე დანაშაულობის ჩადენას ძრიფლ ერიფებოდა, თათქმის იშვიათი იყო ეისმე რამე დანაშაული ჩაედინა. ხალხს კაცობრუეარება გულში კიდევ ღრმათ ჩანერგული ჰქონდა, სიმართლე და სათნოებას კიდევ მძლავრი ფესვები ჰქონდა გადგმული ურთიერთ შორის დამოკიდულებაში.

დადგა უკანასკნელი ხანა კაჯობრიობის ცხოვრებისა—ჟვინის საუკუნე. სირცხეილი და სიმართლე გაქქრენ ქვეყნათ სახსენებლათ. კაცთა შორის გამეფდა ცბიერება, სიცრუე, ვერაკობა, ძალ-მომრეობა და სამარცხეინო ანგარება. მენავეო უშიშრათ ააფრიალა იალქნები მძლავრ და უცნობ ქარის წინააღმდეგ. მაღალ-წევროეანი ფიჭვის ხე, აქმომდე უვნებლათ და ავაყათ წამომდგარი დაბურულ მთას წვერვალზე, დღს ზღვაში მისცურავს და შორს, შორს ტყორცნის უცხო წყლის ზეირთებს. მიწა დღემდის ცველას-თვის საერთო, როგორც ჰაერი და სინათლე, ავიერიდან დანაწილდა, გაიზომა და დაისაზღვრა. ხალხი როდი-ლა დაკმაყოფილდა მიწის ზედა-კანის ნაყოფიერებით, მან გადაატრიალა დედამიწის შუა გული და მასში ღრმათ ჩაულეულ ლითონის ამოკრეფას მიჰკო ხელი. მიწის სილა-მიდას ამოლებულ იქმნა დამლუპველი რეინა და კიჯევ უფრო დაზღუპველი ოქრო. გაჩნდა ხალხთა შორის ომიანობა და გასისხლიანებულმა მახვილმა მზის სხივებზე შეიფრიალა. ყველა ცარცვა-გლეჯით ცხაერგბას, ყველაფერს ცარცვა-გლეჯა დაედო საფუძვლათ. სტუმარს უშიშრათ, მშეიდაბიანათ ყერ მოუხერხებია მასპინძელთან

ପ୍ରକୋପରେବା, ପ୍ରାଣିସ-ଧର୍ମା—ସିଦ୍ଧେସତାନ. ନିଶ୍ଚିଯାତି ଶେଷିନ୍ଦା ସ୍ଵିପାରିତୁଲ୍ଲା
ଧର୍ମବତା ଓ ମେଘପାରତା ଶରୀରିସାପ୍ର-କ୍ରି. କିମାରି ଗାନ୍ଧିଶରୀରାକ୍ଷେତ୍ର ପ୍ରାଣିସ ସିକ୍ଷା-
ଧର୍ମିଲୀଳା, ପ୍ରାଣି-କ୍ରି—କମରିସା. ଦେଲିନ୍ଦାପ୍ରାଚୀଲୀ ବାଲାକ-ପ୍ରାଚୀକ୍ରେବେଳାନ ଅଭିଭା-
ଦ୍ୟେବି ବାନ୍ଧାମଲାଙ୍ଗ ବାନ୍ଧିଲୀଳା, ଶ୍ଵରିଲୀ ମନ୍ଦ୍ରମନ୍ଦ୍ରିନାତ ମନ୍ଦ୍ରିଲୀସ ମାମିସ ଉଦ୍-
ରାନୀତ ବାରଦାପ୍ରାଚୀଲୀବାସ. ଗାନ୍ଧିରା କ୍ରେତ୍ରିନାତ ବ୍ୟାପାରିତୁଲ୍ଲା, ଧର୍ମବା ଓ ଏତୋବା,
ଗାନ୍ଧିରା ସିଦ୍ଧାରିତଲ୍ଲେ, କ୍ରେତ୍ରିରିତ୍ୟେବା ଓ ନଫୋବା, ଗାନ୍ଧିରା ପ୍ରେତ୍ୟେରୀ,
ରାଜ-କ୍ରି ଏତୋମିନ୍ଦେ ଆଦାମିନ୍ଦେବି. ସିଦ୍ଧାଲୀତ ମନ୍ଦ୍ରିତ୍ୟୁଲ ଓ ନ୍ତା-
ଦିଲ୍ଲିତ୍ୟୁଲ ମିଥ୍ରାଶ ତ୍ରୁପ୍ତେବି ରୈରାତ୍ରି ବାନ୍ଧିତ୍ରେଶ କ୍ରେତ୍ରିନାତ ହିମାଶାକଲ୍ପେବ୍ରୁ-
ଲୀ ଲମ୍ବରିତ୍ୟେବି ମାମାତ-ମତାତ୍ରେବି କାଳି କାଳିତ୍ୟୁଲୀ ଏବୁର୍ବେବା, ଯେ ସିଦ୍ଧାରିତ-
ଲୀର ପ୍ରେତ୍ୟେବି କ୍ରେତ୍ରିରିତ୍ୟେବି ଏତୋତ୍ତ୍ରୁଲୀ ମେଘବାରି.

୧. ପ୍ରେତ୍ୟେବିରିତ୍ୟେବି.



მელიას თავ-გადასავალი. *)

(ზ ღ ა პ ა რ ი)

თავი I



აკენა, ეს რა ღრიანული და ბაკა-ბუ-
კია? ეს რა ღმუილია, წემუტუნი, უვა-
თა ჩსავილი, ხვისვინი, ემვა, ბატის
ხმიანობა. საით მიაჭინებს ეს მარდი
ცხენი, სად მიეჩარება ეს ბეჭი ქაშჩი და საით მიარევ-
ნებს თავისი გრძელი ფეხებით ის რბილ-ფრთხებიანი სირ-
აქლემა? რისთვის მოუკია თავი ამ აუარებელ ფრთხისანთ
და მსეცებს? აი ჩვენი უზარმაზარი საილოც, მას უკან მის-
დევს ხტუნია თრითინა, მიცურავს ჭრელი გველი, მორბის
მანქია მაიმუნი და მოფრინავენ წეროები. თურმე ნუ იტე-
ვით — ესენი უველანი მიემურებიან ტუის მევესთან, მმლაპრ-
ლომთან. მას გამოუცია ბრძანება უველაშ მურათ და მში-
დობიანთ ცუსოვრეთო და ამისათვის უველა დაუბარება თა-

*) ეს რუსულათ დაწერილი ზღაპარია და ცვლილებით ვთარგმ-
ნე რუსულიდან.



გის სამუღლობელოში. ბეკებას აღარაფრისა ეშინად და ტუჩა
მცელს მოსდევს ფეხ-და-ფეხ, მშიშარა ყურ-ცქვიტინა კურდ-
ღელიც-კი დახტის ძაღლების ძახლობლათ და ამათ ახლო
ყოფნას არაფრათ აგდებს. უკელა, დიდი, თუ პატარა, გა-
მოცხადებულან მრისხანე მეფის წინ და მის გარეშემო ერ-
თი აურზაური გააქვთ. მათ შორის მსოლოთ გაიძვერა მე-
ლია არ მოჩანს. ამას არ უნებებია ლომთან მობრძანება;
ან რა პირით უნდა მოსულიეო აქ, როდესაც მას უკელაზე
ბევრი ცოდვები მიუძღვის — მეფის ბრძანების დარღვევა, ამ-
სანაგების გაუტანლობა, პირფერობა, არევ-დარევა, მოტუშე-
ბა და სხვა ბევრი რამ. მეფე შეეკითხა სტუმრებს:

— თქვენგან ვისმეს ხომ არავის დაურღვევა მშვიდო-
ბიანობა? ერთმანეთი ხომ არ გაგიჯავრებიათ?



ა) სიტყვასე უკელანი წამოიშალენ და სალაშარაკო

მოქმედენ. პირველათ ტუჩას შექმნდა ლაპარაკი. — დღებულო მეფე, ნუ გამირისხდები ამ სიტუაციისთვის. არ მინდოდა მელიასარაცნა, მაგრამ ამ წესი მელიასაგან ისეთ უთვაში ვართ ჩავარდნილი, რომ არ შემიძლია არა ვთქვა რა. რაც იმ შეჩენებულისაგან და გაიძევრასაგან ოინები მასსომს, ღმერთო ჩემო, ასლაც როგორა ვარ კიდევ ცოცხალი! ტყავს კიდევ როგორ დავათრევ! ჩემ შვილებს თვალებზე ფისი წაუსვა, მხედველობა კარგი გექნებათო და საცოდავები სულ მთლათ დამიბრმავა.

მოაგონდა მგელს მელიას სხვა ოინები და მწუხარებას უფრო და უფრო მოუმატა. — ერთხელ მინდორში ცხვარი დავინახე. შიმშილისგან ფერდი-ფერდზე მიმკროდა. ისე ალალ-ბედათ შევეკითხე: «ცხვარო, ა, ცხვარო, შენ ჩემი თულუფი რათ წამოგისხავს-მეტქი». ეს სატუკები გაეგონა არამხადა მელიას და მოირბინა.

— «ნათლიმამ, მართლა შენია ეგ თულუფიო, შემეკითხა წემული. — მართლა-მეტქი, კურასუსე მეც. — აბა, შვილები დაიფიცე, თუ მართლა შენიაო. მეც ავიღე და დავიფიცე შვილები. — აბა ახლა ხატსა და სახარებაზე დაიფიცე და კიდეც აკოცეო!» თურმე ამ შეჩენებულ მხრანწალას თვალი მოეკრა, რომ გლეხს იქ ახლო ხაფნი დაეცო და აერ პირ-და-პირ იქ მიმიჯვანა! — «აბა ამას აკოცეო». მეც სულელმა დავიჯერე იმ გამეცერას სიტუაციი და შევავი ტუჩი საკოცნელათ და ვაი ჩემს უთვას — ტუჩებზე რადაც მაგრათ მოძეჭირა და



იქიდან თავი ვეღარ დავძარი. მელია-კი მიუბრუნდა ცხვარს, გააგორა, გაიძღო ის არ გასაძღომი მუცელი და წაბრძანდა შინისკენ. მე-კი რის ვაი-ვაგლასით დავაზრი იმ საოსრო საფანგს თავი და დათეთქვილი და გალაზული გაუმუნმულ-დი სოროსკენ. მელია ჩაუწია თავი. ამას შემდეგ წამოდგა სალაპარაკოთ ცუგუა და კუდ-ამომუებულმა დაიწუო წკავ-წკავი და ჩივილი:

«მე სრულიად არა მაბადია-რა, ვერაფერსა ვძლიულობ. ძლიეს ერთი შემთხვევა მომეცა — მვალი ვიაოვნე და ოქე ახლო მივმალე — მერე მოვალ და შევჭამ-მემთე. მოუგნია ამ გასატალებელ მელიას ძვლისათვის და აკი შეუჭამია!

ამ სიტუაციის გაგონებაზე გამოვარდა ჩვენი ციცუნია და გაჯავრებით მოახსენა:

«ეგ მტკნარ სიცურუეს ლაპარაკობს, დიდებულო მე-ფე, ის ძვალი მაგისი-კი არ გახლდათ, ჩემი იუო, თედუა მეწისქილეს მე თვითონ მოვპარე. საქმე ამაში არ გახლავთ, საქმე იმაშია, დიდებულო მეფევ, რომ მელია ისე არავის ასარალებს თავისი გარეწრობით, როგორც თვით თქვენს დიდებულებას. აბა, ჟყითხეთ აქ მეოფ დიდსა, თუ ზატარას — თუ კველაზე უფრო იმ წეულისა არ ეშინოდეთ, ვინემ თქვენი, დიდებულო და მძლავრო ლომო!..»

— მელია ბოროტი და მატეუარა სულდგმულია, გა-აწევტინა სიტუაცია ვეფუგმა. იმას როგორ უნდა ენდოს ვინ-მე! ერთ ქათმის ნაჭერზე გაჭეიდის თავის საუკეთესო მე-

გობარს. ბაიუშმი, საძაგელი ლუქმის გამოაცლის უკელას ხელიდან, ისე რომ წარბს არ შაიხრის და სხვის უბედურობით ხარხარითა კვდება. შეჩვენებული რა ცუდათ მოექცა ამ საწეალ ურ-ცქვიტინას. არ ესეც აქ არის! აბა ერთი შეჭედეთ ამ საწეალს—რა დაგლეჯილი და დაჭრილ-დაფლეთილია იმ შეჩვენებულისაგან. წუეულმა რაღაც სკოლა გაუძართა ბაჭიებს; მიუჯდა ახლო და რაღაც საგალობელს აგალობებდა. მეც იმ ღროს სკოლის ახლო გავიარე; შევიხედე ფანჯარაში და რა დავინახე: დაუჭირა იმ შეჩვენებულ მასწავლებელს ერთი თავისი მოწაფე, მიათრევ-მოათრევ-და და მიძნიდა. მე რომ არ ჩამეზელებინა, ახლა მისი ძვლებიც აღარ იქნებოდა.

— თუ მაგ წუეულისაგან არავინ დავვისწნის, ტუში აღარავის დაედგომება. უკელას ამოგვიწამს, მახე-ხაფანგში გავაძამს უკელას. აბა დიდის რას გვიშვრება ეგ შეჩვენებული და, რა გასაკვირველია, წვრილფეხობის სინსილა სულ გააწეოს. მე ვითხოვ, რომ მელია ჩამოისწოოს.

— რათა? რისთვის? ტყბილი და წენარი ხმით დაიწეო მცბიერმა და ორ-ჟირმა მაჩქმა, მელიას მისწულმა. — როცა მელია მოჩეველათ ლომს ახლდა, რატომ მაშინ არაფერს ბრძანებდა ეგ ტუშა, რომ ახლა მაგდენს ღმუის. ერთი ჭირა ხომ არც-კი გასულა, რაც თვით ეგ ბატონი მგელი პირობით შეეკრა ჩემ ბიძას—ტყბილათ და მმურათ ვიცხოვ-როთო და ახლა-კი მაგრე იმეტებს? იმ პურ-მარილის მად-



ლი გავიწერეს, რა ჩურ-მარილიც ბიძახემს შენსე დაუტე-
სია. რამდენი სორცი და ი ევზი იძას ამისთვის უჭმევია და
პატივისცემას ასე უხდის? ჩემ სიცოცხლეშა როგორ და-
მავიწერება ეს ამბავი: «ერთხელ ერთმა გლეხმა უთხრა თა-
ვის ცოლს—«შენ სახლში იჯექი, ნაზუქი აცხე და მე
სათევშაოთ წავალო». იქნე მგელი მდგარიერ და თევზის
გაგონებაზე პირზე ნერწევი მოსვლოდა. მარტოვა რომ ვერა
გამხდარიეო-რა ბიძახემისთვის ეთხოვნა—«შენ გაწექი გზა-
ზე და თავი მოიმკვდარუნეო». ამისთანა სახიფათო საქმეს
ვინ შეასრულებდა, მაგრამ მეგობრობისთვის ბიძახემმა თავი
გასწიორა და გაწვა გზაზე. ამ დროს გლეხმაც გამოიარა ურ-
მით, დაინახა გზაზე დაგდებული მელია და გულში მაღიან
იამა. «ეს ჩემი ცოლისთვის კარგი სახუქარი იქნებაო და
გადისროლა ურემმი; თვითონ-კი წინ გაუძლვა კამებებს. ბი-
ძისაც ეს უნდოდა—ჰერა და ჰერა თევზი ურმიდან, მგელი
მისდევდა ფეხ-და-ფეხ და შემცელდა. გლეხი მივიდა სახლ-
ში და ცოლს სახუქარი ასარა. გადაშალეს ჭილოფი და რა
დაგარცვიათ, რას ეძებთ — აღარც თევზი და აღარც მელია?
მისვენ მელიას ეშმაკობას, მაგრამ რას გააწეობდენ. ამ
სანობაში ბიძახემიც წამოეწია მგელს და თევზი თხოვა. ამ
უსირცხვილომაც თურმე ფხები მისთავასა. აბა, ეს სამართა-
ლია, მოდი და ბრაზსე ნუ მოხვალ? მაგრამ ეს სსვა ამბებთან
რა მისათვლელია. ერთხელ ბიძახემს სუნი აეფო, რომ ვი-
ღიც გლეხისას ღორი დაკლათ. «ვიჲ, რა ჩასატყჲბილებე-

ლი ქონია ექნება იმ ღრუტუნასათ, იქვა ჭირიანმა მელიაშ. მოდი, მეგობარო, ერთათ ვეცადოთ და საშოგარი შეაზე გავიუოთო». ტუჩაც დათანხმებულიყო. მელია რის ვაი-ვაგ-ლაბით აცოცებულიყო ფანჯარაში და იქიდან ქონი გად-მოეწოდებინა ტუჩათვის. იქვე ძალლები ეოფილიერენ, დაე-ჭირათ საწეალი მელია და რის ვაი-ვაგლაბით დაეხტია იმათ-გან თავი. მივიდა მგელთან და საშოგარის შეაზე გაუოვა თხოვა: «ძე ქონი კიდეც გავათავეო და შენ ერთი დიდი ნა-ჭერი შეგინახეო, ეცავე კია, რომ უელზე არ დაგადგეს და არ დაიხრიოვო, უპასუხა მსუნავმა მგელმა და ის ორეაბიანი ჯონი მისთავაზა, რაზედაც ქონი ეგო. აბა, რა უნდა ექნა ბიძაჩემს, თქვენ თვითონ გასაჯეთ. ამას შემდეგ კიდევ რაებს ლაპარაკობს, თითქო თითონ წმინდა წელისა იუვეს. ——ამ საცოდავი კურდღლის ზღაპარზედაც მეცინება! ნეტავი დირდეს მაინც საამბოთ. აბა, ერთი თქვენ თითონ მიბრ-მანეთ, მაშ რა მასწავლებელი იქო ბიძაჩემი, თუ თავის შე-გირდს — კურდღელს არ დასჯიდა ცელქობისთვის, ზარბა-ცობისთვის და შეუსმენელობისთვის? მაშ, მასწავლებელიც აგრეთვი უნდა და ქუდიც იმსა ჭრებია! დიდი ამბავი მომხდარა მასწავლებელმა შეგირდი დასაჯა! უჟ, რა მომხ-დარა! ამ წევ-წევამაც რო ფეხი გამოჭეო, ის არის კარგი! «ძალი დავკარგეო». ოჟ, დიდი ამბავია — სულელმა ცუგომ ძალი დაჭვარება და ჭირიანმა მელიამ იპოვნა. რო გაჩუმდეს ის ურჩევნია მატას, თორუმ თქვენი ბეჭინიერი ჭურით მო-



ისმინეთ, რომ ის ძვალი მაგას მოპარული წერნია! რო-
გორც მოვიდა, ისე წავიდა. ამას რა დიდი თავის ტეხა უნ-
და. «ოჟა, საცოდაო მელიავ, საუკარელო ბიძაჩემო, ბნელი
და კულიანია შენი ცხოვრების გზა! რამდენი კეთილი დაგი-
თესია შენ შენს სიცოცხლეში, რამდენი მოწეალება გავი-
ცია და ვინ არის შენი მადლიერი. აქ სიკვდილსა-კი გიქა-
დან, აღელვებული ხმით წარმოთქვა მაჩვა.

საწეალო ბიძაჩემო! განაგრძო მაჩვა — გაიგო თუ არა
მელიამ — მეუემ მშვიდობიანობის ბრძანება გამოსცაო, მაშინ-
ვე საწეალმა ბერობა მოინდომა და მეც თან გა-
მიუღლია. ახლა მე და ის ბერები ვართ. ღმერთო ჩემო,
რა სანასაობას წარმოადგენს ახლა მელია! ისეა ჩამომდნარი,
როგორც წმინდა სანთელი! მარა მოუვიდოდა საცო-
დავს — მარხულობა შეუთქვა ღმერთსა და ღღები თვითო
ლუქა ჰურს ხმარობს, მთელ ღღეს მშიერ-მწუჟერვა-
ლია! ხორციელაც უარი უთქვამს და უდაბნოში მიდის. თქვენ
გაგებული გმინებათ — რა დიდ-კაცურათ უკარდა მას ცხოვ-
რება! არავის ისე სუვთათ და სერჩანათ არა აქვს გამარ-
თული სასახლე, როგორც ბიძაჩემს. წარმოიდგინეთ თქვენ,
ტოვებს ძლიდარი ჩემი-ბიძა ამისთანა დიღებულ ცხოვრე-
ბას და მიდის უდაბნოში სულის საცხონებლათ, გესმით,
თუ არა უდაბნოში, სადმე გამოქვაბულში საცხოვრებლათ.
ნერგადი ახლა გაჩვენათ ვისმე ის და იმასე ცუდის მოლა-
პარაკებს კველას ხმა ჩავიწყდებოდათ!

ამ დოოს მაჩვის სიტუა შეწედა, რომელსაც ერთი დანახვით ცუდა ფერმა გადაჭრია. მეფის წინ წამოდგა ერთი სულ — მთლათ გაწითლებული და თვალ-ცრემლიანი მამალი. მის უკან მოჭეონდათ საკაცებე და-დებული დედალი, თავ-წაგლეჯილი. ულ-გამოდადრული და მთლათ დასისხლიანებული. უკან მოსდევდენ მრავალი ქათმები და ჩიოდენ და ტიროდენ კარგი დედის დაკარგვას, კარგ დიასახლისის მოშორებას, ერთი სიტუაით უკირილს, გლოვას და მელის წევლა-კრულვას არა ჭირნდ საზღვარი: მისი დები მოთქმით ტიროდენ, მისი ობლები საცოდვათ წივ-წიობდენ. ამ სანახაობამ უველას გული აუჩქოლა. ლომმაც-კი ჩაღუნა თავი და თვალში ცრემლი მოერია.

«აბა, ერთი შემოგვედეთ, დიდებულო, ლომო, რა უოფაში ვართ? რა ცეცხლში ჩაგვეარა იმ სულის-გამუიდავმა მელიამ, რა უბედერება დაგვატესა თავს, ლაპარაკობდა მამალი და თან ცრემლებათ იღვრებოდა. — მაგ შეჩვენებულს ჩვენი მიწიდან აღმოფხვრა განუხრახავს. შეგვიბრალეთ, შეგვიწევალეთ. გაზაფხულზე რა ბედნიერათა ვერმნობდი თავს ჩემი კალაბობით! საცოდვაი ჩემი ცოლი! რა ხალისით ჭიქება ხოლმე მონასტრის ახლო დაერილ ნაგავს. რა სიამითა და სიხარულით შემოჭხვეოდენ კარს ჩემი 15 ქალი-შვილი და ათი ვაჟიმვილი. რა სიტყბოებით შევსაროდით ჭვეუნას, მზეს, წეალს, აბიბინებულ უანას, მშვენიერ ბა-



დებს, მონასტრის არე-მარეს, სადაც აუარებელი საგვარე
 ექარა ჩვენ საკვებაკათ. ვით ჩემს თავს! ჩემს ამ მოსწრებას!
 საცოდავი ჩემი მეუღლე! უკელას საეკარელი იუო! მუ-
 და ჩვენი შვილების ზრუნვაში იუო. ოოგორ დამა-
 ვიწედება ჩვენი ცუგუების დარაჯობა და ზრუნვა ჩემ ცოლ-
 შვილებზე! ოამდენჯერ მობრძანებულა გაიძერა მელია მო-
 ნასტრის კარებთან და მოუნდომებია ჩემი სახლობის ხორ-
 ცით გამოძლობა! მაგრამ ჩვენ ცუგუებს ბევრჯელ დედა აუ-
 ტირებიათ იმ გარეწარისთვის, ბევრჯელ დაგლეჯილ-დაფ-
 ლეთილს უქადრია გაქცევა. მაგრამ მოუსვენარი როდისმე
 მოისვენებს ამ წუთისოფელში! ერთხელ პირ-და-პირ ჩვენ-
 თან მობრძანდა. იმისმა მშვიდობიანმა და ალერსიან-
 მა ხმამ განცვიფრებაში მოგვიუვანა. ერთ ხელში კრიალო-
 სანი ეკავა, მეორეში ოადაც ქაღალდი. «ეს წერილი თქვენ
 სახელობაზე გახლავთო», ნახი ხმით გამეხმაურა და მომა-
 წოდა ჰაეტი. მც გამოგასუიტე თვალები და დავიწევ
 კითხვა: «მშვიდობასა და მმობას საუკველთაოთ აცხადებს
 ლომი». მელია-კი იდგა ჩემ წინ დამშვიდებული სიტყით
 და იმეორებდა: «მშვიდობა და მმობა!» — «მე ახლა ხორცს
 ღიახლებით, მარხვაში და ლოცვაში მინდა ჩემი და-
 ნარჩენი საათი გაუატარო. დიდება და ქება დიდ სულო-
 ვან ლომს, რომ იმ მშვენიერი ბრძანებით დამქარა ქვეშა-
 ნასა. ზედა მშვიდობა და ერთგულობა!.. მრავალ-ქამიერ ამის-
 თანა მეფესო!» ჩვენც დავადეთ პირი და გახარებული და-



ვიწევთ «მრავალ-ქამიერის» სიმღერა. «ღმერთმა დაგუბნების
უფერო გაჭირებისაცანაო, მოგვაძლა მელიამ! ახლა ჩემი
წასვლის დროა, ლოცვაზე დამიგვიანდებაო» და ლოც-
ვით და გალობით გაცუნცულდა შინისენ. მუც ჩემი
ჯალაბობით გამოვედი გარეთ მონასტრის გალავნის უკან
და სეირნობა დავიწევთ თავისუფლათ. თურმე ის შეჩე-
ნებული იქნებოდი აყი არ დამალულა?! დაგვითვალთვა-
ლა თუ არა, გამოვარდა ბუჩქიდან, ეტაკა ჩემ უფროს შეიღ-
ლა და იქნე თავი გააგდებინა. მერე დაგვერია და სულ
მთლათ გაგვაქარწელა. მომიელა ჩემი საუკარელი თვალის
ჩინი ქოჩორა ქალიშვილი! და თქვენი ბერნიერი თვალით
ხომ ჰქედავ ამ ჩემს უბედურობასაც — აღარც მეუღლე მაბა-
დია. აი ეს არის ჩენი მწუხარება, ჩენი უბედურება! გვი-
შველეთ, დიდებულო მევევ, დაგვიხსენით ამ გაჭირვებისა-
ცან, აღაგმეთ როგორმე ის დვთისრისხვა მელია!

— ო ორმირობა! წამოიუერია განრისხებით ლომ-
ბა და გადაიქნა ქუდი! მაშ. აგრე შეასრულა ჩემი ბრძანე-
ბა? ახლა ვაჩვენებ იმას სეირს. ვასწავლი იმას, როგორ
უნდა უწევებოდის ტანჯვა და წვალება! შენც, გარეწარო მაჩ-
ვო, ტუილათ გვარწმუნებ შენი ბიძის კეთილსულობას, ტუი-
ლათ ცირლობ შავი თეთრათ გვაჩვენო! საწეალი კრუნი!
ახლა აღარა დაგვოჩენია-რა, იგი უნდა დაიმარსოს მეუგ-
რათ და უოველი ლონე მიიღეთ, უკანისკნელათ დიდი ჩა-
ტიკისცეთ ცხედარს. ჭირისულანიც უნუგემოთ არ გა-

უშვათ; უგალობეთ, იტირეთ, იგლოვეთ და ქვის მეგლიც
 დაადგით ამ წარწერით: «ამ საფლავსა შინა განისვენებს ქო-
 ჩორა! იგი მოკლა გარეწარმა მელიამ. უკლა წამეთხველ-
 მა ცხონება უსურვეთ და ამის მკვლელს-კი წევლა და კრულ-
 ვა. ამინ!»

მერე დანიშნეს რჩევა, თუ როგორ დასაჯონ მელია და
 დაადგინეს, გაუგზავნონ მოციქული, რომ იგი გამოცხად-
 დეს ლომთან, მოციქულათ ბურტუნა, ბანჯგვლიანი დათუ-
 ნია ამოირჩიეს. ლომმა ეს დარიგება მისცა დათვს: «შენ
 ამ ტყეში შინაური სარ, გზა და კვალი კარგათ იცი და იძ
 შეზენებულის თვისებანიც. ეცადე არ მოგატუნოს და თუ
 თავის ნებით არ მოვიდეს, მალათ, კისტის-კვრით წემოათ-
 რიე და მერე მე ვიციო».

— თქვენ ამაზე არსეინათ ბრძანდებოდეთ, წაიბურდეთ-
 ნა დათუნიამ,— მე ის ვერ მამატუნებს და თუ კაბედა რამე
 მე გიჩვენებთ იმის სეირსო,— თქვა ეს და გაუდგა გზას.

ალ. ნათაძე.

(გაგრძელება იქნება)



მცენარე და მისი ცხოვრება.



ოველი ცხოველი ბუნებაშივე პოულობს თა-
ვის საზრდოს—ერთი ჭამს მცენარეულობას,
მეორე—სხეა-და-სხეა ცხოველებს ხორცს და
სხე., მცენარეს-კი ბუნება დამზადებულ საზრ-
დოს-კი არ აძლევს, აჩამედ მხოლოთ მასა-
ლას საზრდოსათვის სხეა-და-სხეა ნივთიერების სახით; ამ მიღებული მა-
სალიდან მცენარე იმზადებს თვითონ, თავის საკუთარ ტანში საჭირო
საზრდოს. ეს დამზადებული საზრდო მარტო მცენარისათვის-კი არ არის
სასარგებლო, იმას ადამიანიც ხმარობს ხოლმე სხეა-და-სხეა საჭიროე-
ბის დროს; მაგალითათ პურის, სიმინდის მარცვლებში და კართო-
ფილში ბლომათ არის სახამებელი, რომელიც ჩერნოვისაც კარგ საზრ-
დოს წარმოადგენს, იმდენათ კარგ საზრდოს, რომ ბევრი ღარიბი
ადამიანია, რომელიც უმეტესათ მარტო პურითა და კართოფილით
იკებება; ზოგიერთ მცენარეში, როგორც მაგალითათ ზეთის ხილში,
ნიგოზში და სხე., ბლომათ არის ზეთი, რომელსაც ადამიანი ხვა-
რობს სხეა-და-სხეა სამარხო საჭმელების მოსამზადებლათ; ჭარხალში
ბლომათ არის შაქარი, რომელიც განსაკუთრებით უკარით ბავშებს.
მიღებული მასალიდან მცენარე მარტო ისეთ ნივთიერებას-კი არ ამ-



ზადებს, რომლებითაც მცენარეს გარდა აღამიანიც საზრდოობს, არა-
მედ ისეთებსაც, რომლებიც აღამიანისათვის ან სასარგებლო წამალს
წარმოადგენენ, ან საშინელ შრამს; მაგალითათ ქინაქინის ხე აძლევს
აღამიანს თეთრ ფხვნილს—ქინაქინას, რომელიც სუკხოვო წამალია
ციებ-ცხელებისათვის და რომელიც ბაეშებს ძალიან სძულო საშინე-
ლი სიმწარის გამო.

მცენარეთა სამეფოში არიან ისეთი მცენარეებიც, რომლებიც
საზრდოობით ყველა დანარჩენ მცენარეებისაგან განირჩევიან და ცხო-
ველებსა და აღამიანსაც უფრო მოგვაგონებენ: ისინი უკვე დამზადე-
ბულ საზრდოს პაულობენ ბუნებაში. ასეთ მცენარეებს ეკუთვნიან
ის მუქთა-ყლაპია მცენარენი, რომლებიც ჩვენ ერთ წერილში მო-
ვიხსენიეთ:—ფიტრი, ხის სოკო და სხე. მაგალითათ ფიტრი თვითონ
არ იღებს მიწიდან არაეითარ მასალას, რომ იქიდან თავისთვის სა-
ჭირო მასალა დამზადოს,—ის დაჯდება ხეს და უყურებს, როდის
დამზადებს, ის თავისთვის საზრდოს, რომ მე დაევატრრონოვო. მართ-
ლაც ხე ამზადებს საზრდოს, ფიტრი-კი სხეისგან დამზადებული საზრ-
დოთი იკვებება! ყველა ის სოკოები, რომლებიც მიწაზე ამოდიან,
თავისი საზრდოობით უფრო ცხოველებს მოგვაგონებენ. ისინი თევი-
თონ-კი რომ მზადებენ საჭირო საზრდოს, არამედ დამზადებული საზრ-
დოთი იკვებებიან; ამგვარ საზრდოს მათთვის წარმოადგეხს დამპალი
ფოთლები, ბალახი, ხე და სხე.

ისეთი მცენარეებიც-კი არიან, რომლებიც ხორცით საზრდო-
ობენ, როგორც გარეული მხეცები. ასეთ მცენარეებს ფოთლები ისე
აქეთ მოწყობილი, რომ პატარა პირ-ლია პარქს მოგაგონებენ; შე-
ლოლდება თუ არა ამგვარ ფოთოლში ბუჩი ან სხეა რაიმე მწერი,
ფოთოლი მაშინვე დაიხურება და საბრალო მწერი შეიგ მოემწყერე-
ვა; დატუსალებული მწერი დაიწყებს გაცეცებული აქეთ იქით ტრი-
ოლს, მაგრამ მცენარის ფოთოლი მალე გამოუშევებს ისეთ წვენს,
რომელსაც აღამიანის კუჭის წვენს თევისება აქეს; ეს წვენი მოჰკლავს
მწერს, გახსნის მის რბილ ნაწილებს, ამ გახსნილ ნაწილებს მცენა-

რის ფოთოლი შეისვამს და ამგვარათ მცენარე ინელებს მჭერის: ბუმის ზის ჭამია მცენარე თუ არის, არის აგრეთვე ჩიტის ჭამია მცენარეც; შევა თუ არა იმის პარკის მზგავს ფოთოლში პატარა ჩიტი, ფოთოლი დაიხურება, გამოუშვებს წვენს და ისე მოინელებს ჩიტს, რომ ბუმბლისა და ძელების მეტს აღარას დატოვებს. საბრალო მსხვერპლის მონელების შემდეგ ფოთოლი ისევ გაიხსნება, რომ ახლა სხვა მსხვერპლი შეიტყუოს და მოულოს ბოლო.

როგორც უკვე გავიგეთ, მცენარეც სუნთქვას ისე, როგორც ყოველი ცხოველი, მაგრამ მცენარის სუნთქვაც ბევრში განიჩევა ცხოველის სუნქეისაგან; ჩასუნთქული ჰაერიდან ცხოველის აგებულება იტოვებს მხოლოთ მფაებადს, მცენარე-კი ჩასუნთქული ჰაერიდან იტოვებს მფაებადსა და ნახშირბადს. მფაებადის უმთავრესი დანიშნულება ცხოველის ტანში ის არის, რომ ის უერთდება სხვა-და-სხვა ნივთიერებას, წვამს მას და ამით აჩენს ცხოველის ტანში, სითბოს. ადამიანის ტანის სითბო უდრის 37 გრადუსს. მცენარის ტანშიც სწორეთ ამგვარი დანიშნულება აქვს მფაებადს,—ის უერთდება მცენარეში დამზადებულ საზრდოს, ნელა-ნელა წვამს მას და ამით აჩენს მცენარეში სითბოს. არიან ისეთი მცენარენი, რომელთა სითბო 10—15 გრადუსს უდრის. ადამიანი რომ დამწყერით ისეთ ალგას, სადაც ჰაერი არსაიდან არ შედიოდეს, უჰაეროთ ის მაღვე გაიგუდება და მოკედება. აგრეთვე მცენარეც რომ უჰაეროთ დატოვოთ, ის დიდხანს ველარ ცუოცხლებს,—ნელა-ნელა დაჭკნება, გახმება და მოკედება.

მცენარესა აქვს ერთი შესანიშნავი თვისება, რომელსაც მოკლებულია არიან ცხოველები; ეს თვისება იმაში მდგომარეობს, რომ მცენარე თავის ტანში ამზადებს მფაებადს და უკან აძლევს ჰაერს. ხლა შენ იყითხავ, ჩემო მკითხველო, თუ კი მცენარეს თვეთონ შეუძლია მფაებადის დამზადება, მაშ რაღათ ისუნთქვას ჰაერს და რაღათ იტოვებს იქიდან მფაებადსო. საქვე იმაშია, რომ მფაებადის მოსამზადებლათ მცენარის სხვა-და-სხვა ნაწილებმა უნდა მრომა გასწი-



ռան, Ցհոմօնսատցուս-կո Տափորուս Տաթիրլու և Տոտծո, առ Միջնարկութեան Ամենա
Առաջ ուշանտվաց Մցենարյց Ֆայրուզան Մյացիալու; Մոլցեպուլու Մյացիալու
Սյերտլցի Պյուսպեգուն Մուրանուն Տեցա-և Տեցա Բոցուորյենիս, Ինցի Պա-
Վագարաշատ յիշու Մերուտ Տաթիրլու, Մյուրայ Մերուտ Տոտծու և Ամցա-
Ռատ Ֆայրուզան Մոլցեպուլու Մյացիալու Տեսարչյեն, Ամ Ընրուս-կո Եղուտ
Մցենարյց Ֆու Տացուսպուլցի Պյացիալու, Հոմելուու Մցենարուսատցուս Տա-
Փորու Ալար Արուս; Ես Մյացիալու Ֆայրուզան Գամուլլյեյլուա. Հաջանապ Մյաց-
իալու Ոմքենատ Տափորու Կայուլա Կթուցըլը Տոտցուս և Աճամունուտցու-
Սապ, Հոմե Շամուսուտ Բաւ Կթուցը Առ Մելուլուտ, Ամուրու Կթալու,
Եղ Հա Ըստ Տամսաեռի Շիբեց Մցենարյց Ու Կայուլը Կթուցը և Ա-
Ցա Ցարուս Աճամունսապ. Հուցը Տափու Նաեմուրի Տեցի Ցայրու, Ացուտ
Ֆայրու Աճամունուտցուս Բայցը Ելուա. Իցեն Բոնա Ֆյորուլցի Պան-
Հոմե Մցենարյց Ֆայրուզան Նաեմուրի Տեցապսապ Ուշանտվաց; Ամցարատ Մցենա-
Րյց յիշու Մերուտ Նաեմուրի Տեցա Ալուս Ֆայրու և Ասպուտացի Բաս, Մյու-
րայ Մերուտ Ամլցու Ֆայրու Մյացիալու և Ամուտ Ասլուցի Բաս. Ոյ, Տալապ
Ըստ Ըստ Ֆայրուզա, Ֆայրու Տալուն Տայուտա, Եղ Կո Ասլու-մաելուս Քա-
ռանուն Ազգուլցի Առ Արուս, Մյացիալու Ցլումատ Արուս և Ամուրու
Այս Պյուսպեգու Տասարցըլուա Աճամունու Ջանիրուտցըլուսատցուս.

Մցենարուս Ցհուլուսատցուս Տաթիրլուս ցան և Սպոնդուլուս Տափորուցի Տա-
Վագցըն Օգրյուց Տոտծու և Տոնատլց. Եղ ու Տափորուս Ս-տծուս
և Տոնատլց Մոյլունու, Բանոն Ար Եղ Մուսո Ցհաւա, Տու-կո Ասլու-մաելուս Քա-
ռանուն Ազգուլցի Առ Արուս, Մյացիալու Ցլումատ Արուս և Ամուրու
Այս Պյուսպեգու Տասարցըլուա Աճամունու Ջանիրուտցըլուսատցուս.

Մցենարուս Ցհուլուսատցուս Տաթիրլուս ցան և Սպոնդուլուս Տափորուցի Տա-
Վագցըն Օգրյուց Տոտծու և Տոնատլց. Եղ ու Տափորուս Ս-տծուս
և Տոնատլց Մոյլունու, Բանոն Ար Եղ Մուսո Ցհաւա, Տու-կո Ասլու-մաելուս Քա-
ռանուն Ազգուլցի Առ Արուս, Մյացիալու Ցլումատ Արուս և Ամուրու
Այս Պյուսպեգու Տասարցըլուա Աճամունու Ջանիրուտցըլուսատցուս.

მცენარე ზრდას და მწერეთ აბიბინდებიან ხოლმე თანდათან ყანები. როგორც ნამეტანი სიცივე წყენს მცენარეს, ისე ნამეტანი სიცივეც მისთვის მაზარალებელია, ამიტომ ზომიერ სითბოიანი ქვეყნები საუკეთესო სამყოფი აღვილია სხვა-და-სხვა მცენარეებისათვის.

რა მნიშვნელობა აქვს სინათლეს ანუ მზის სხივებს მცენარისათვის? სინათლე ხელს უწყობს მცენარის საზრდოობას. ზესვებიდან მიღებული სხვა-და-სხვა წიეთიერებანი და ჰაერიდან შესუნთქული ნახშირბადი, რამ ერთმანეთს შეუერთდენ და ამგვარათ გაჩნდეს სახა-მებელი, ზეთა, შაქარი და სხვ., რაც მცენარის საზრდოს შეადგინს, ამისათვის საჭიროა მზის სხივები. მოაკელით მცენარეს მზას შუქი და მაშინ ის ველარ მოიმზადებს საზრდოს, მაშასადამე ველარც იკოცხლებს დიღხანს. მზის სხივები მხოლოდ დღისით ეგზავნება ქვეყნიერობას, მხოლოდ დღისით სარგებლობს მცენარე მზის სხივებით; ღამე-კი მცენარე დასვენებულია, ის საზრდოს აღარ ამზადებს, სამაგიეროთ იზრდება,—სინათლე ისე არ უწყობს ხელს მცენარის ზრდას, როგორც სიბნელე. ხას ერთი მხარე თუ მუდამ სინათლეზეა დღისით, მეორე მხარე-კი მუდამ ჩრდილში, ღამისდილული მხარე უფრო იზრდება, ვიდრე განათებული და ამიტომ ხეც ბრუნდდება იხრება იმ მხარისაკენ, რომელიც უფრო სარგებლობულია მზის სინათლით. ამგვარათ სინათლე ხელს უწყობს მცენარის საზრდოობას, სიბნელე-კი მცენარის ზრდას. რაღანაც საზრდო უმთავრესათ მცენარის ფოთლებში მზადდება, ამიტომ მზის შუქი ყველაზე უფრო მცენარის ფოთლებისათვის უნდა იყოს საჭირო; და მართლაც მცენარის არც ერთ ნაწილს ისე არ უყვარს მზე, როგორც ფოთლებს; ფოთლები თან დასდევენ მზეს; საითკენაც მზე არის, ფოთლებიც სწორეთ იქითკენ მიაბრუნებენ ხოლმე თავის ზედა პირს. არ დაკეირებისართ ბალში ახლათ გაფურჩქვნილ ვარდის კოკორს? დაღმდება თუ არა, ფურცლები შეიკუმშებიან და ახლათ ფადაშლილი კოკორი ისევ. დაიხურება; დილის მზე სტყორცნის თუ არა მას თა-



ეის სხივებს, ფურცლები ისევ შეინძრევან, გაიშლებიან და გარდის კოკორიც გაიხსრება, რომ გულში ჩაიკრას მზის სხივები. არიან ისეთი მცენარეებიც, რომელთა ყვავილები მხოლოთ დღე იშლებიან, ლამ-ლამით-კი ისევ იხურებიან; ამ მოვლენას უწოდებენ, მცენარეთა ძილს.

როგორც ადამიანი და სხვა ცხოველები, ისე არც მცენარე იზრდება შეუწყვეტლათ. მცენარის ცხოვრებაში არის ისეთი ხანა, როდესაც ის აღარ იზრდება, რამდენი ხანიც უნდა იცოცხლოს, არამედ გამრავლებას მიჰყოფს ხოლმე ხელს. ზოგიერთი მცენარე, თავის ზრდას რამდენსამე თვეს დაასრულებს ხოლმე, როგორც მაგალითათ. პური, სიმინდი, ქერი და სხვ. ზოგიერთი-კი მთელი საუკუნე და მეტიც იზრდება.

მცენარეთა უმეტესი ნაწილი მრავლდება ნაყოფის შემწეობით. გაზაფხულზე, როდესაც მზის ს-თბო მცენარეში სიცოცხლეს ამოძრავებს, მცენარე ფითლებით იმოსება და თან პატარა კეირტებს გამოიღებს. კეირტები თანდათან იზრდებიან და მალე ყვავილებათ იქცევიან,—მცენარე ამგვარათ აყვავდება. სხვა-და-სხვა მცენარემ სხვა-და-სხვა ფერის ყვავილი იცას. რამოდენიმე ხნის განმავლობაში ყვავილი იზრდება, შემდეგ მას ფურცლები უჭინება და შორდება. უფურცლოთ დარჩენილი ყვავილის ძირი დღითი-დღე იზრდება და იქცევა ნაყოფათ. მრავალი მცენარის ნაყოფს ჩენ საზრდოთ ეხმარობთ. ბევრი მცენარის ნაყოფი ადამიანისათვის არა თუ გამოუსადევარი, მანენდებლიც-კი არის. ზოგიერთ ნაყოფში არის კურკა, ზოგში მარცვალი, ზაგში გული და სხვ. მაგალითათ ბლის ნაყოფში, ყურძენში, ატაშში და სხვ., ანის კურკა, კიტრში, ნესვში და სხვ. არის მარცვალი; კაკალში, თხილში და წაბლში-კი გული კურკა, მარცვალი და გული რაკი მიწაში ჩაერდებიან, მიწის სითბო და წყალი ნათ თანდათან გამოაღეიძებს, გაღოჯავს და მათ ალაგას მიწი-დან გაზაფხულზე თავს ამოყოფენ შესაფერი მცენარეები,

ზოგიერთმა მცენარემ მხოლოდ ერთხელ იცის ნაყოფი; მაგრა მას სამს თუ არა ის ნაყოფს, ნელა-ნელა ხმება და კვდება. ამგვარა პური, ქერი, სიმინდი და სხვ. ზოგიერთი მცენარე-კი მრავალი წელი ცოცხლობს და ყოველ წელიწადს იცის ნაყოფა; არიან ისეთი მცენარეებიც, რომლებმაც წელიწადში რამდენჯერმე იციან ნაყოფის მოსხმა, თუკი თბილ აღავას ცხოვრობენ.

ი. გომართელი.





კ უ რ დ ი.

ერ ისევ ადრე იუო, როცა რეზიკოს მამა გო-
რიდან მოვიდა და საახალწლო ტკბილეულო-
ბა მოიტანა: სხვა-და-სხვა ჯურის კამფეტები
ჰარებით, ინდის სურმა, მეინვარი-შაქარი, ქიშმიში, ნუში,
თაფლი და სხვა. უველა ეს ფანჯარაზე დაწუო. ამ ფანჯა-
რასთან ღვარ რეზიკოს საწოლიც. სკალ ახალ-წელიწადი
იუო და უველა ემზადებოდა ბერიერ დღისათვის. შეძლებუ-
ლი გლეხები ღორებს ფუფქვდენ, ზოგი ახლაც აჭერებ-
და ბურვაკსა.

რეზიკოს ღერძუ გოზინაუისთვის კაკალს ამტვრევდა, რე-
ზიკო ნიგოზს არჩევდა, უღლებს ჰურიდა. სან-და-სან ჰირ-
მიაც ჩააპარებდა ხოლმე.

— ღერძი, ხომ არ კამიჯავრდები, რომ ეს ცოტა შავი
ნიგოზები შევტამო ხოლმე.

— მიირთვი, შვილო, მიირთვი, ბევრი-კი არა ჭამო,
თორემ უელს დაგწვავს და დაგახველებს.

განარებული იუო რეზიკო. სულ ახალ-ახალი ტანისა-
მოსი და წაღები ჰქონდა ამისთვის ღერძს შენახული. ი

დიდობინი კამფეტიც ამისი იუო, პარკიდან რო კოსტატშებით გადასახლდა ექვირა ფოჩები, თითქო რეზიგოს აჯავრებისო.

— რა იქნება, რომ ის კამფეტი დღესვე ვნახო, ერთი რაფერია, იმ ჭრელ ქაღალდს ქვეშ, ან რა გემოსია. სვალ სო სხვებიც მომილოუკენ.

— დედი, არ იქნება, რომ ერთი დღი კამფეტი ამოვიდო და გაგუცქნა, ვნახო და მერე ისევ შევახვიო?

— არა, შვილო, როგორ იქნება, მოითმინე ამაღამაც და სვალ აյ არ იქნება.

ამ დროს ტაფით გოზინაუს საამურათ გაჟერნდა შიშინი და ტეატრ-ტეატრი. რეზიგოს დამწვარი თაფლის და ნიგზის სუნი ცხვირის ნესტოებში უდიტინებდა.

საკმაო გოზინაუი ჭამა რეზიგომ, ტაფა მოფეიგა და გოზინაუიან თეფშებს შეციებული გვერდები უციცქნა.

მაინც იმ კამფეტის ჭავრი არ მოემვა, ზედ რომ ფერადი წამლებით დახატული პატარა ბიჭი შემოღრეულდა.

— დაიძინე, გენაცვალოს, დედ, დაიძინე, სვალ ადრე უნდა ადგეთ, რომ ადრე ადგომა დაგვემყებოს.

ცოტა სნის შემდეგ კამფეტის ახლო ტახტზე სვრინავდა ჩვენი რეზიგო და სისმარში სულ ხურჩელები, გოზინაუი და ის დიდი კამფეტი ელანდებოდენ.

— აბა, თუ კაი ბიჭი სარ, მობძანდი რადაც რეზიგო სარ, უძახის დიდი კამფეტი და თან მუშტს უღერებს, ისეთს საგუცებ კბილებში, რომ სულ ჩაგამტვრით!



— მობმანდი, ოაღა, უგდებს ენას გამფეტი და დაწურინის. აბა, თუ კაი ბიჭი ხარ!

უქ, ოამოდენა გაზრდილა კამფეტი. ოა უკითელი თმა ასხია, ოა ცისფერი თვალები აქვს! ოა კოხტა წაღები აცვია და მშვენიერი ხალათი!

— მაგას ვერც-კი მოვერევი, ფიქრობს ოეზიკო. სჯობს ჩუმათ ვიუო. ოეზიკო ჩუმათ არის, მაგრამ ხალხი ირევა, აგერ ახალწლის მოსალოცათ მოდიან; ნაცნობი, უცნობი, ბავშვები.

დიდ გამფეტსაც ამსანაგები მოსვლია. ზოგი მოგრძო კამფეტი ამომმვრალა და თევზე წამოწოლილა, ზოგი სულ გაუფცენიათ, ერთიბეწო ქაღალდი აღარ ახვევია, ზოგი შაქ-რის გუჭალსა *) ჭრავს.

უვირიან, იცინიან, აუხაუნებენ. აგერ დაჭტაცეს ხელი ბიჭებმა კამფეტებს და დაუწეს ჭამა. ზოგი ჭუჭნის გვეტს, სულ ხრამა-ხრუმი უდგიათ.

როცა ოეზიკს გამოეღვიძა, ოთახში სანათი მლივს-და ბჟუტავდა. ეველას ემინა. კარგა სანს იყვნენ ეტდა თვალებს, ექებდა სისმარში ნანას ხალხს, მაგრამ არსად არავინ იუო. ბუხართან გატა კრუტუნებდა. ღერასაც იქვე ახლო ემინა. ოეზიკომ კერ დააპირა ღერისთვის დაეძახია, იუიქრა: ახლა

*) კუჭალი — პატარა ქაღის ჭვერია.

დრო იქნება აბრამიანით სახლს შემოუაროს მამა-ჩემშვიდა
დაგვაბეროსო, მაგრამ ამ დროს თავის გვერდზე დალაგებუ-
ლი პარკები მოაკონდა.

— რა უშავს, რო ვნახო, სანამ გაუღვიძნათ, რა ჯუ-
რის სილია? ქურდობა ხომ არ იქნება, რო დამეტებოს. მე-
რე ასე ახლო აწევია.

წამოჯდა რეზიკო ლოგინში. ჯერ უური დაუგდო, — ღა-
მე იურ და თუმცა სანთელი ენთო, მაინც როგორდაც ეში-
ნოდა. შეგნითი თთახიდან თაგვების ფსაქა-ფხუქი ისმოდა. შეკვე-
ს უკან რაღაც ღრდნიდა, სოფელში მაღლები ჰეთედენ
და ერთი განგაში ედგათ. თვით რეზიკოს უურებმაც რაღაც
ბურბური დაიწევის. რეზიკო ისევ ლოგინში ჩაწვა, პირი
პარკებისკენ ჰქნა. თავზე საბანი წაისურა და მსოლოთ ცა-
ლი თვალი იჩინა.

ბევრჯერ დახუჭა თვალი, მაგრამ ის დიდ გამოეტიანი
პარკი მოსვენებას არ აძლევდა. თითქო ჯიბრზე იქვე თვალ
წინ ედო.

დასძლია ბოლოს შიშაც, სირცხვილსაც და ნელა-ნე-
ლა ადგა ჩვენი რეზიკო. ნელა-ნელა მიუახლოვდა პარკს და
ჯერ ერთში ჩაუ ხელი. — რა ტკბილი იურ ის ინდის სურ-
მა! ბევრის შექმა-კი არ შეიძლება — დედა გაიგებს.

მერე მეორე ნახა. ბოლოს კამიუტების პარკშიაც ჩააბა-
რა სელი. ის იურ, უნდა დიდი კამიუტი ამოეთოდა, რომ

უცემ რაღაცამ გაიფანთხალა, ეცა ჰერანგის სახელოში რე-
ზიკოს და გაქანდა იღლისკენ.

— ვაიძე, მიშველეთო! ერთი-კი დაიუვირა რეზიკოშ და
ღრიალით ლოგინზე გაიშელართა. იმის უვირილზე საწელი
დედ ფერიანივით წამოვარდა. გულგასეთქილი მივარდა რე-
ზიკოს და გულში მიირა. სან წეალი დაასხეს, სან მმარი,
როგორც იუთ, ძლივს მოასულიერეს.

თურმე თაგვს მიეგნო დიდი კამიუტის ფოჩებისთვის,
თავის საბუდოისთვის მალიან მოსწონებოდა და როცა იმას
ფრცეჭნიდა, რეზიკომაც მაშინ ჩაუთ ხელი. მეორე დღეს
დიდ კამიუტს ვერც-კი შეხედა ჩვენმა ქურდმა.

თ. რაზიკაშვილი.



პატარა ეგზავი.

(ი. მაჩაბლის სახსოვრათ)



კითხარ ძიე: მამა ჩეენი
სად წაეიდა და ან როდის,
რომ არსად სიანს ამოდენს ხანა?
დაგვეიციშა და არ მოდის! ..

დელა ამბობს: მაშინ გეტყვით,
თუ არ გატეხო მის ანდერძსო
და ქვეყნის ვალს აასრულებთ,
თქვენ წილ ხეელრს და თქვენ — თქვენ კერძსო.

რა ვალია, ქვეყნის ვალი
და ანდერძი ჩეენი მამის?
ამ თავითვე გვსურს შეტყობა
შენგან ძავ მხოლოდ ამის.

ასე სთხოვდენ ერთხელ სტუმარს,
ორი და ძვა პაწაწინა
და მათ გამგონ მოხუცებულს,
თვალთ ცრემლები მოუდინა.



ოხერით უთხრა: ემ რა გითხრათ!
ჯერ აღრეა ხომ თქვენთვის ეს,
მისი ქცევა მისი ღვაწლი
დიდებაც რომ ვერ გაიგეს?!

—
მაკრამ გეტყვით: მუშა იყო,
ქვეყნის მუშა, სამსხვერპლოთ მზა
და სიწმინდით გაიარა
ამ ცხოვრების მან მოკლე გზა.

—
მართლის მთქმელი, მართლის მქნელი,
გულ—კეთილი, ენა—მწარე!..
საპირადოთ არ ჰყოლია
არც მტერი და არც მოყვარე!..

—
საზოგადოს მიმდევარი,
იყიწყებდა კერძოს ხშირათ;
ქვეყნის ლხინი ღხინად უჩნდა,
ქვეყნის ჭირი სჭირდა ჭირათ.

—
ერთხელ მითხრა: ცოლსა და შეილს
მოვეკიდე იმ განზრახვით,
რომ გაემაგრდე გასაჭირში
ალერსით და მათი ნახევით”.

—
და ხომ ხედავ, მაღლობა ღმერთს,
ამისრულდა ეს სურვილი,
რაღას მიზამს გარეთ მწარე,
თუ შინ მელის რამე ტკბილი?

ასე გრძნობდა ვით მოლვაწე
უძლეველათ თავის მგონი,
მაგრამ, ვაი რომ სულ სხვაა
ქვეყნის წესი და კანონი.


—
უსამართლო, უკულმართი
რაც არ სურს, არ გაიგნებს!..
ან სულ გასრესს მის მეურჩეს
და ან პოლოს დაიმონებს.

—
მამა თქვენსაც ეს ხედა წილათ
იმ უსწორო ბრძოლა ომში
და ნიშანში ამოიღეს,
უსამართლოთ თვისევ ტომში.

„არ ყოფნა სჯობს მაშინ ყოფნას
როცა მეტობს მრუდე ძალა!“
ასე სთქვა და ცხოვრებას სულ
მოეშორა მოეცალა.

—
მაგრამ როგორ ჯერ არ ვ-ცით!
მეტი რომ ესთქვათ არ გვაქვს ნება!
ჯერ ეს იყოს, რაც გითხარით,
და მერე კი სხვაც იქნება.

აკაკი.





ყ ა ლ ვ ა ს

ა ხ ა ლ - წ ლ ი ს ს ა ჩ უ ქ ა რ ი .

ალვას დედას მართას ჩემულებათ ჭირნ-
და, უოველ ახალ-წელიწადს თავის
შეილებს რაიმე საჩუქარს უერდიდა
ხოლმე და ახალ-წლის დილით, რო-
ცა უმაწვილები ადგებოდენ, პირს
დაიბანდენ, სატის წინ პირჯვარს დაიწერდენ და მშობლებს
აკოცებდენ, მაშინ აიღებდა და სათითაოთ დაურიგებდა თა-
ვის საუვარელ შეილებს. ამიტომაც უმაწვილები უოველ წელს
მოუთმენლათ მოელოდენ ამ ბედნიერ დღეს და ცდილობ-
დენ წინათვე მიშვერარივევენ, ვის რას უერდიდა დედა. მათ
გოზინაუი, ჩურჩხელები, კამიეტები, ვაშლები და სხვა ტკბი-
ლულება ისე არ უსაროდათ, როგორც დედის საჩუქარი.

პატარა შალვას ექვსი წელიწადი შეუსრულდა და მეშვი-
დეში ჩადგა. ქართული ანბანების გამოცნობა დიდი მომრა-
ვი ასოების საშუალებით ასწავლა მას დედამ, მაგრამ ასლა



დოთ იუო, უფრო წესიერათ ესწავლებია წერა-კითხეა. პი-ტომ მართას წინათვე ჭირნდა მოსაზრებული, რა საჩუქრი უნდა ეყიდნა შალვასათვის.

დედა ომ ბაზრიდან დაბრუნდა ახალ-წლის წინა დღეს და საჩუქრები მოიტანა ქადალებში შესვეული, შალვა მი-გარდა, მოქვეთა მას, დაუწეო კოცნა და ეხვეწებოდა, მაჩვი-ნე რა მამიტანეო. მაგრამ დედამ ციფი უარი უთხრა და უვა-ლაფერი სკირმი შეინახა. შალვა მლიერ გაიბუტა, მაგრამ მეტი ჩარა არ ჭირნდა, დილამდის უნდა მოეთმინა.

სადამოსე ბავშები მაინც ცდილობდენ, თვითონ გამო-უნოთ თავ-თავისი საჩუქრები და სან. რას ასახელებდენ, სან რას. შალვასაც გულში ჩაჲევა ეს სურგილი და მოსვე-ნებას არ აძლევდა: რა არ წარმოიდგინა მისმა ბავშურმა ლუნებამ. მილშიაც-კი ბევრი რამ მოქვენა: ნახა, ვითომც, დედას პატარა თოვი ეუიღნა მისთვის, რომელსაც იგი ჩი-ტებს უმიზნებდა და მოსვენებას არ აძლევდა; მოეზმანა აგ-რეთვე შეკაზმული თეთრი სათამაშო ცხენი, რომელსაც სურგ-ნე ასტებოდა; ამას მოჲევა პატარა ეტლი, რომლითაც ქუ-ხაში დახრივინებდა. მესობლის ბავშებსაც თავი მოეუარათ, შურით უეურებდენ და ეხვეწებოდენ, ჩვენც გვასეირნეო. ასეთ სისმრებში გაატარა პატარა შალვამ მთელი ლამე.

გათენდა ახალი-წელიწადიც. უმაწვილები აზრე ადგენ, საჩუქროთ მოქმედენ და ერთათ გავიდენ მეორე თახსში

მშობლებთან. აქ მათ სისიამოვნო სურათი დასკვდათ: დიდი ძაღლი სავსე იქო სიქა-და-სიხა ტკბილეულობით. მშობლებმა გადაკუცნეს საუკარელი შეილები და დაბერეს. ძალვა უქრათ გადაიჭა, რაღაც მოუთმენლობა ეტეობოდა. მშობლები სიამოვნებით უურებდენ მის ცნობის-მოუკარეობას და ერთმანეთს უცინოდენ. დედა მიკიდა სკივრთან და გაადო. უმაწვილები გარს შემოქმედი. ჩირველათ მან ამოიღო უერად ქაღალდმი გახვეული წიგნი, მოამორა ქაღალდი და მისცა შალვას. მშეერიერ ედიან წიგნზე პატარა ჩიტი იქო დასატული და ზემოდან მოზრდილი ასოებით ეწერა: «დედა-ენა». შალვას სიხარულს სასლვარი არა ჰქონდა.

• წყალტუბელი.





გ ა მ ი ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი აღ. შეუკაშისგან)

ახალ წლის დღეს დაფჯექ მეფეთ,
 ერთ წელიწადს მაცცეს ვადა.
 ყველას მოსწონს ეს ამბავი,
 თითქმის მეც-კი გამეხარდა.
 თითო ტყავი შემოგაძრეს
 რაც-კი ღმერთისა დღე დაპბადა,
 მაგრამ მაინც არ გავშიშვლდი;
 (კადევ მქონდა ცოტამატა)
 პანლური მაშინ მიჭირეს,
 ბალალი რომ გამოცხადდა.

—
 ანგანის უხმო ასოთი
 იწყება ჩემი სახელი;



ბოლო—ხოცော ხალხისა,
ძრწუნდება მისი მნახველი;
შრთელს — ნადირს-კი მინდვრათ ნახავ,
თუ არაბეთში წახველი.

არითმეტიკული ამოცანა.

სოფლელმა ქალაქში წაიღო გასასყიდათ ოც და-ათი კოშში და
თეითეული სამი კოშში კაპეიკათ უნდა გაეყიდნა. გზაში სოფლელს
შემოხვედა მეზობელი, რომელმაც ოც-და-ათი კოშში გარდასცა და
სთხოვა, ორი კოშში კაპეიკათ გაეყიდნა. სოფლელმა გამოიანგარი-
შა, რომ საკუთარ კოშშებში მას უნდა აეღო ორი შაური, ხოლო
მეზობლის მიერ გატანებულში-კი სამი შაური, და ამ რიგათ საერ-
თოთ ყველა კოშშები ხუთ შაურათ უნდა გაეყიდნა. მისდა მაგივრათ
რომ საკუთარი კოშშები და მეზობლის მიერ გამოტანილი თვის
თვისათ გაეყიდნა, სოფლელმა ერთიანათ გაყიდა ყველა კოშშები და
თეითეულ ხუთ კოშში ორ-ორი კაპეიკი აიღო. რადგანაც 60 კოშშ-
ში 12 ხუთეულია, ამიტომ სოფლელმა ყველა გაყიდულ კოშშებში
24 კაპ. აიღო 25 კაპეიკის მაგივრათ. სოფლელმა ტყუილათ თაეი
იტეხა გამოეცნო, რისთვის დაკლდა ერთი კაპეიკი, მაგრამ ვერას
გახდა. შეიძლება ჩვენი პარია მკითხველები დაეხმარონ საწყალ სოფ-
ლელს და მოაძებნინონ ეს დანაკლისი კაპეიკი?

ეინც „ჯეჯილის“ ხელის მომწერი ბავში ამ კია, ხეაზე უკე-
თეს პასუბს მოგვცემს, რედაქტორ საჩუქრათ გაუგზვნის ეკ. გაბაშვი-
ლის „საყმაწვილო მოთხრობებს“ კარგის ყდათ.

შ ა რ ა დ ა.

(ჭარმოდგენილი გოტე სესნიაშვილისაგან).

უბირი დედის და მამის შეილი
ლარიბ მშობლებში ის აღიზარდა,
ლეთის სიყვარულშა გულის სიმტკიცა
მას თეის ტოლებში არაერთ ჰერნდა.
იგი სცხოვრობდა მშობლების სახლში
ეიღო თორმეტის წლის გახდებადა;
და შემდეგ რაյი წამოიზარდა,
გულს ლეთისა რწმენა ენერგებოდა;
რაც დრო მირბოდა იმითი პატარას
ლეთის სიყვარული ულეივდებოდა,
უჩჩედა სხვასაც, ქრისტე ეწამათ
და მითი ნათელს ელირსებოდა.
მართლაც ბოლოს დროს ნათელი ჰუინა
თავის წალ ხდამილს მთელ სავეფოში
და აღაფინა ლეთის სიყვარული,
საშვილიშვილოთ საქართველოში.

საჩუქრის მისაღები კითხვა.

ვრნ ლავარსა ქალაქი თბიოისი და რათ დაურქმეებათ „თბილისი?“

ვინც „ჯეჯილი“. ს ხელის მომწერი ბავში ამ კითხვაზე საუკეთესო პასუხს წარმოადგენს, მას საჩუქრათ გაეზარება რედაქციისაგან აღბომი „ბუნება სურათებში“ და თვით წერილი-კი „ჯეჯილში“ დაიბეჭდება.

କୃପାଲୁସି

(ଫୁଲିଛନ୍ତିରୁଙ୍ଗିରୁଙ୍ଗି କୃପାଲୁସିରୁ ଶେତରାଜୁ ଦୀର୍ଘବିର୍ତ୍ତିରୁ କୃପାଲୁସିରୁ ମହାନ୍ତିରୁ କୃ. ଦାଶ୍ରୀଲୁହାଙ୍କାନ୍ତିରୁଙ୍ଗିରୁଙ୍ଗି).



କ

ପ



କ



ଶ, ମ,

କିନ୍ତୁ ଶିଥିରେ
ଯେବାନିଶନ୍ତାରେ
ମହାଶ୍ଵାଳି
ରୁ କାହିଁ?



ତ

ମହାଶ୍ଵର-
ଲ୍ଲବ୍ଧି
ରୁବୁ
ଉପେବେନ?

ମ

କାହିଁବାନ୍ତି
ଲ୍ଲବ୍ଧି

ତ



ପ୍ରୋଲିସ
ମୃଳି.



୨୧

୧୦୫

- ୩୭ -

ନେ, କୁ, ମୁ
—, —,



$\frac{1}{12}$
ଫ୍ଲୋରା

, କୁ,



ବୁ
ବୁ
ବୁ



କୁ, ମୁ

୧୦



ଅମ୍ବାଜାନ୍ତିକା: ପାଠୀ ପାଠୀ

ଅମ୍ବାଜାନ୍ତିକା: ପାଠୀ ପାଠୀ (ବାକତାଙ୍ଗୀ.)

ଗାମିପାନ୍ତିକା: 1) ମାତ୍ରାନ୍ତିକା, 2) ନାଲ୍ମାଲ୍ମାନ୍ତିକା, 3) ପାଠୀଜାନ୍ତିକା, 4) ପ୍ରକାଶକାନ୍ତିକା.

ପାଠୀଜାନ୍ତିକା: 1) ପାଠୀଜାନ୍ତିକା, 2) ପାଠୀଜାନ୍ତିକା.

ଅମ୍ବାଜାନ୍ତିକା: ପାଠୀ ପାଠୀ ଏବଂ ଏବଂ ଏବଂ

მიმღება ხელის მოწერა 1902 წლისათვის

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

ნახატების გაზეთი

„ბ ბ ა ლ ი“

(წელიწადი მეათე)

გამოვა 1902 წელსაც ყაველ კვირა დღეს, ერთიდან სამ თაბახმდე.

წლის განმაელობაში „კვალი“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა სურათები (ეკროპის, რუსეთის და ჩევნის) მათი ბიოგრაფიებით. განსაკუთრებელი ყურადღება მიექცევა ქართველ მოღვაწეებს.

გაზეთი წლიურათ ლირს თფილისში 7 მან., თფილის გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ.. თფილის გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამი შაური. აღრესის გამოცელა თფილის გარეთ ლირს ორი აბაზი.

ჰელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილათ შემო-

ტანი:

სელის მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხების საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვანსლა), რკინის გზის სადგურზე—პირევი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტი-შეილთან და თვათ „კვალის“ რედაქციაში, თეატრის ქუჩა, № 12.

ქუთაისში: მიტროფანე ლალიძესთან და ვ. ბეჭანეშვილის წი. გნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თავართვილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხეველოში: ოზურგეთში და ახალ სერაკში კ. თავართვილაძის წიგნის მაღაზიებში; კიათურაში კალისტრატე ჭიჭინაძესთან და ბერიძესთან; უკორილაში ივანე არლიშვილთან. დაბახონში—სახალხო სამკითხეველოში.

ფოსტის აღრესი: თიფლის. რედაქცია „КВАЛИ“.